პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 (მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 204 ხუთშაბათი, 7 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 7 სექტემბერი 1922 წ. № 204

საქართველოს საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო

ამით აცხადებს ყველა ც. ა. კ. წევრთა საყურადღებოთ, რომ პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად სექტემბრის ბოლო რიცხვებში მოწვეული იქნება)

ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია

გახსნის დღე და დღის წესრიგი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი: თ **კალანდაძე.**

(251)

ხუთშაბათს, 7 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის დარბაზში წაკითხული იქნება

საინსტრუქციო მოხსენება იაჩეიკების პასუხისმგებელ ამხანაგებისათვის

შემდეგ თემაზე: „პარტიული კონფერენციის შედეგები“.

ყველა მიმაგრებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

(2—2)

ვინ უშლის ხელს სასურსათო გადასახადის კამპანიას

ცნობები, რომლებიც თითქმის ყოველ დღე იბეჭდება ჩვენს გაზეთებში სასურსათო გადასახადის კამპანიის მსვლელობის შესახებ, მოწმობენ, რომ სოფლის მეურნეს სავსებით შეგნებული აქვს იმ ვალდებულების მნიშვნელობა, რომელიც მას დააკისრა მუშურ გლეხურმა სახელმწიფომ. წელს სასურსათო გადასახადის წარმატებით აკრებას და სურსათის მობილიზაციას ბევრათ ხელს უწყობს შედარებით კარგი მოსავალი, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში, შემკრები აპარატების უკეთესი მოწყობა, დაბოლოს ის გამოცდილება, რომელიც შეიძინეს სათანადო ორგანოებმა წარსული წლის კამპანიის დროს. თუ ეს საქმე განვითარდა იმ ტემპით, როგორითაც დაწყებულია დღეს, და რისი იმედი შეგვიძლია ვიქონიოთ, აშკარაა, რომ რაოდენობა ამ გზით შეკრებილი სურსათის მიაღწევს ნავარაუდევის ას პროცენტს და ამნაირათ მიზანი მიღწეული იქნება. ეს იქნება არა მარტო გამარჯვება ფორმალურათ ჩვენი სახელმწიფოებრივ სამეურნეო ფრონტზე, დამამტკიცებელი ახალგაზრდა სახელმწიფოებრივი აპარატის სიმტკიცის, არამედ გაძლიერება მისი მატერიალური რესურსების, მახარობელი უკეთესი პერსპექტივების.

მაგრამ სწორეთ ამიტომ არიან ამხედრებული სასურსათო გადასახადის წინააღმდეგნი ყველა მტრები ჩვენი რესპუბლიკის და მისი ხელისუფლების.

პირველობა, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც ეკუთვნის მენშევიკებს, მათ ამყოლ-დამყოლ პარტიებს და ყაჩაღთა ბრბოებს. განმტკიცება არსებული რეჟიმის ეს ხომ მათი ყველას საბოლოო დასამარებაა და დაღუპვა. აშკარაა ისინი უკანასკნელ ძალებს იკრებენ და მთელ თავის დარჩენილ ენერგიას და უნარს ამოძრავებენ იმ მიმართულებით, რომ დაარტყან მთელი სიძლიერით ამ წერტილზე; ხელი შეუშალონ სიტყვით თუ საქმით სასურსათო გადასახადის კამპანიის წარმატებით ჩატარებას. აქ მენშევიკების მოკავშირეა ყველა ვისაც კი რამოდენიმეთ მაინც ძალა შესწევს წინააღმდეგობის. იქნებიან ისინი რომელიმე გაბოროტებული საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებმაც ბევრი რამ დაჰკარგეს მშრომელთა რეჟიმის დამყარებით, იქნებიან ისინი ყაჩაღთა და ამწიოკებელთა ბრბოები, სისხლის სამართლის დამნაშავენი, ბანდიტები,—მენშევიკებისთვის და მათი მიმდევარი შემარჯვენე პარტიებისათვის ყველა გამოსადეგი არიან, ყველასთან ძმურათ ხმა შეტკბილებული, ხელი-ხელ გადაყრილნი გამოდიან მორიგი ავაზაკობის ჩასადენათ, ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობის გასაბრუნდებლათ და თუ შეიძლება ძირიან ბუდიანათ ასაფორიაქებლათ.

მაგრამ ასეთი მათი ზრახვები გამოაშკარავებულია და ყველას დასანახათ დღის სინათლეზე გამოტანილი. ცხადია, რომ მათი სახით აქა იქ გაჩაღებულ მუშაობას ეწევიან აგენტები უცხო ძალების, დამხმარე იმათი, რომლებმაც დღემდი ვერასფერი გააწყვეს რევოლიუციასთან ბრძოლაში და რომელთა ყოველი დაწყებულება ამ მხრივ დიდი მარცხით დამთავრდა.

ჩვენი ქვეყნის პერიფერიებში, პროვინციის მივარდნილ ადგილებში, იქ, სადაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ჯერ კიდევ მტკიცეთ ვერ გაუდგამს ფესვები, ეს ბანდიტები კვლავ ახერხებენ წყლის მღვრევას და აღმშენებლობითი მუშაობის შეფერხებას. მაგრამ იქაც ასეთი მდგომარეობა წარმავალია; რევოლიუციონური წესრიგი შეჯითად მყარდება და მტკიცდება, ადგილებს უჩნდება ბატონპატრონი და ხელმძღვანელი. და აშკარაა, რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, რაც უფრო გამალებით წინ წავა ეს პროცესი რევოლიუციონური წესრიგის დამკვიდრების, მით უფრო მალე ამოივსება ის სიცარიელე, რომელიც შეადგენს აქა იქ უკანასკნელ თავშესაფარს ბანდიტიზმისას.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორი დიდი საქმე უძევთ წინ გასაკეთებლათ ადგილობრივი სახელმწიფოებრივ და პარტიულ ორგანოებს. და ეჭვი არ არის, რომ ისინი, როგორც ჩვეულებრივ, კვლავაც გააგრძელებენ თავდაუზოგველ მუშაობას ამ მიმართულებით და გამარჯვებული გამოვლენ მდგომარეობიდან.

ისევ ოსმალეთ-საბერძნეთის ომის შესახებ

ინგლისსა და საფრანგეთ შორის ამ ჟამად წარმოებს მოლაპარაკება ახლობელ აღმოსავლეთის კონფერენციის მოწვევის შესახებ. ამ კონფერენციის მთავარი საკითხი იქნება ოსმალეთ-საბერძნეთის ომი და ღონისძიებათა მიღება მისი ლიკვიდიციისათვის. იმედი აქვთ, რომ კონფერენცია შესდგება მიმდინარე სექტემბრის განმავლობაში, თუმცა საფრანგეთი, წინააღმდეგ ინგლისისა, ცდილობს მის გადადებას.

ამასთან მნიშვნელოვანი ცნობები მოდის ოსმალეთ-საბერძნეთის ფრონტიდან. ოსმალეთის ჯარს უკვე აუღია ბრუსა, ტყვედ ჩაუგდია თოთხმეტი ათასი ბერძენი ჯარისკაცი და მთელ ფრონტზე იმარჯვებს. მეორე მხრივ აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისის ესკადრა ჩასულა სმირნაში, რომლის ასაღებად მიიწევს ოსმალეთის ჯარი.

ეს ფაქტები აშკარად მეტყველებენ, რომ ახლობელ აღმოსავლეთის საკითხშიც ანტანტის ორ მთავარ მონაწილე—ინგლისსა და საფრანგეთ შორის გარდუვალმა წინააღმდეგობამ ისეთივე მწვერვალს მიაღწია, როგორც, მაგალითად, ვერსალის „ზავის“ და გერმანიის საკითხში ლონდონის კონფერენციაზე.

ამას წინად ამხ. რადეკმა თქვა, რომ ოსმალეთ-საბერძნეთის ომი არსებითად არის საფრანგეთ-ინგლისის ომი, ორივე ეს სახელმწიფო იარაღს აწვდიან თავიანთ „მოკავშირეებს“ და ყოველ მხრივ ეხმარებიან მათ. უკანასკნელი ამბებიც ამას ადასტურებენ.

ცხადია, თუ რატომ უნდა ეხლა საფრანგეთს კონფერენციის სასწრაფოდ მოწვევა და ოსმალეთ-საბერძნეთ შორის ზავის ჩამოგდების საკითხის წამოყენება: ოსმალეთის ჯარის ბრწყინვალე გამარჯვება ქმნის ამ ჟამად ხელსაყრელ პირობებს, რათა საფრანგეთმა სამშვიდობო კონფერენციაზე ერთგვარ შედეგებს მიაღწიოს ინგლისის ინტერესების საზიანოდ.

მეორე მხრივ ინგლისი მოწადინებულია კონფერენციის მოწვევა დაგვიანდეს, ვინაიდან ალბად ჯერ კიდევ არ დაკარგვია იმედი ფრონტზე მდგომარეობის შეცვლისა საბერძნეთის სასარგებლოდ. სმირნაში ინგლისის ესკადრის ჩასვლაც იმას ნიშნავს რომ იგი არსებითად უკვე მებრძოლ მხარედ გამოდის ოსმალეთის წინააღმდეგ. გარდა ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისი შეეცდება სხვადასხვა საერთაშორისო კომბინაციების საშუალებით საფრანგეთის პოზიციის შესუსტებას და ამავე გზითაც ოსმალეთის გამარჯვების შედეგების გაქარწყლებას.

შეუძლებელია, რა თქმა უნდა, იმის წინასწარ მეტყველება, თუ რით გათავდება ამ ხანად ახლობელ აღმოსავლეთში დატრიალებული ამბები. შესაძლებელია მსოფლიო პოლიტიკის დღევანდელმა მესვეურებმა ეხლაც გამონახონ რაიმე კომპრომისი დახლართულ საკითხების დროებით მოსაგვარებლად ან უკეთ მისაფუჩეჩებლად. ამას უკარნახებს მათ ანტანტის სრული დაშლის შიში, რასაც თვითონაც კარგად იციან, თუ რა დამღუპველი შედეგები მოყვება მათ ისედაც შერყეულ ბატონობისათვის.

მაგრამ როგორი ნაბიჯებიც არ უნდა გადადგან ამ ჟამად ანტანტის პოლიტიკოსებმა, ერთი რამ ამ თავითვე ცხადია, სახელდობრ ის, რომ მათ არ ძალუძთ არსებულ დავის და საკითხების ძირითადი და სამართლიანი გადაჭრა; ისინი შეეცდებიან ურთიერთ შორის „მორიგებას“ ოსმალეთის, საბერძნეთის და საერთოდ აღმოსავლეთის ხალხების ხარჯზე.

სულ სხვანაირად ფიქრობენ, რა თქმა უნდა, ოსმალეთი და სხვა დაჩაგრული ხალხები. მათ მიზანს ის კი არ შეადგენს, რომ იყვნენ ანტანტის საწველ ფურად, მისი იმპერიალისტური პოლიტიკის ობიექტად, არამედ სრული განთავისუფლება დასავლეთის იმპერიალისტების ოპეკისა და გავლენისაგან.

ამ გზაზე დიდი ხანია შემდგარია ქემალის ოსმალეთი, რომელმაც უნდა აწარმოოს ბრძოლა არა მარტო საბერძნეთ ინგლისის, არამედ საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგაც ვინაიდან ეს უკანასკნელი არა ნაკლებ სახიფათოა ვინემ ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკა.

რამდენადაც და რაც უფრო შეიგნებს ამას ოსმალეთი, და არა მარტო ოსმალეთი, არამედ მთელი აღმოსავლეთი, მისი მრავალ ასეული მილიონიანი მშრომელი მასსა მით უფრო მალე მოეღება ბოლო დასავლეთის იმპერიალისტების ბატონობას, და ეს არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც, ვინაიდან აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებიდან სიმდიდრის და სისხლის გამოქაჩვაა დღემდე მათი არსებობის უმთავრესი წყარო.

ოსმალეთმა, სპარსეთმა, ინდოეთმა და სხვებმა ეს გარემოება ნათლად უნდა შეიგნონ და დროა გადავიდნენ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაზე საუკუნოებრივი მონობიდან თავის დასაღწევად. ამას დაჟინებით მოითხოვს მათი ნაციონალური და საერთაშორისო რევოლიუციის ინტერესები.

ამასთან, ამ ბრძოლის დროს მათ არ უნდა დაავიწყდეთ ერთი უაღრესი მნიშვნელობის ფაქტი. ესაა მათ გვერდით დიდი საბჭოთა ფედერაციის არსებობა. ეს უკანასკნელი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია აღმოსავლეთის ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინებაში. ამიტომ მათი მჭიდროდ დაკავშირება საბჭოთა ფედერაციასთან ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორია გამარჯვებისათვის.

მედგარი ბრძოლა ანტანტის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში დაყრდნობა საბჭოთა ფედერაციაზე—ეს უნდა იყოს აღმოსავლეთის ხალხების მთავარი სადღეისო ლოზუნგი.

X.

* * *

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

ოსმალეთ-საბერძნეთის ომი

საბერძნეთის ჯარის განადგურება.

ნაუენი. 5 სექტ. (რადიო). ოსმალეთის მთავარმა შტაბმა გამოაქვეყნა ცნობები აფიონ კარა გისარის მახლობლად მომხდარ გადამწყვეტ ბრძოლის შესახებ, რომელიც გაგრძელდა 5 დღეს და დამთავრდა საბერძნეთის არმიის სრული დამარცხებით, რომელიც იქნა გათიშული ორ ნაწილად.

საბერძნეთის ცნობით მტკიცდება ესკი-შეხირის ევაკუაცია და სამხრეთ-არმიის და მე 3 ე არმიის კორპუსის უკან დახევა.

საბერძნეთის ფლოტმა ბრძანება მიიღო გავიდეს სმირნაში.

იტყობინებიან, რომ საბერძნეთის უმაღლესმა კომისარმა სტერკიადიომ მიმართა სმირნაში მყოფ მოკავშირე სახელმწიფოთა ყველა ელჩებს განცხადებით, რომ ბერძნები მზად არიან მოახდინონ სმირნის ევაკუაცია, თუ გარანტიები მიეცემა ქალაქში მცხოვრებ ბერძნებს და სომხებს, რომლებიც იმყოფებიან საბერძნეთის ხელისუფლების მფარველობის ქვეშ, მათი პირადობისა და ქონების ხელშეუხებლობაში.

ბორდო. 5 სექ. (რადიო). ათენის გაზეთები ადასტურებენ ცნობებს ოსმალოების მიერ უშაკის აღების შესახებ.

საბერძნეთის ოფიციალური ცნობებიდან სჩანს, რომ ესკი-შეხირისა და უშაკის დაკარგვის გამო, ბრუსსის ევაკუაცია აუცილებელია.

საბერძნეთის პრესა ლაპარაკობს ბრუსსის მომავალ საშიშროების შესახებ.

რომი. 5 სექტ. (რადიო). ანგორის გარეშე საქმეთა მინისტრმა ფეტჰი ბეიმ, რომელიც იმყოფება რომში, განაცხადა ინტერვიუში, რომ ოსმალეთი სხვას არაფერს მოითხოვს გარდა იმისა, რომ საბერძნეთმა დასტოვოს როგორც მცირე აზია, ისე ფრაკია.

ბრუსსას აღება.

ანგორა. 5 სექტემბერი. (პირდაპირი მავთულით). დღეს ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს ბრუსსა. სამხრეთის ფრონტზე ოსმალეთის ჯარები განაგრძობენ შეტევას სმირნის მიმართულებით ალა შეხირთან წამოიყვანეს 14.000 ტყვე. საბერძნეთის არმიის მარცხენა ფრთა სრულიად განადგურებულია. ფართო საზოგადოებრივ წრეების განწყობილება ისეთია, რომ ომი საბერძნეთთან მოგებულად ითვლება. სამხედრო მეთვალყურენი პრესაში აღნიშნავენ, რომ შეტევის პირველი პერიოდი დამთავრდა უშაკის და ესკი-შეხირის აღებით. შეტევის მეორე პერიოდი ეხლა იწყება.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. ანგორიდან მიღებულ ცნობების თანახმად შეტევა გრძელდება. საბერძნეთის არმია ორ ნაწილად არის გაჭრილი. ჩრდილოეთის ჯგუფი სრულიად განადგურებულია, სამხრეთის ჯგუფი განაგრძობს უკან დახევას. სმირნაში ჩავიდა ბრიტანეთის დრედნოუტი. მოელიან ინგლისის ესკადრის სხვა გემების ჩასვლასაც.

საბერძნეთის ცნობით ბერძნების უკან დახევა გრძელდება. ოსმალეთის ჯარები იმყოფებიან 200 კილომეტრის მანძილზე სმირნის აღმოსავლეთის.

საბერძნეთის ფლოტმა მიიღო ბრძანება დაუყოვნებლივ გავიდეს სმირნაში.

— ევროპის პრესა საბერძნეთის ჯარების მიერ ესკი-შეხირის ევაკუაციას სთვლიან მთელი კამპანიის წაგებად.

— იტყობინებიან ათინაში ახალი მთავრობის შედგენის შესახებ.

— გაზ. „ტაიმსი“ იტყობინება საბერძნეთის მთავრობის სახელმწიფოებისადმი მიმართვის შესახებ, რომელშიაც საბერძნეთი სთხოვს დახმარებას დროებითი ზავის ჩამოგდების საქმეში.

— გაზ. „ტანი“ ომის გაგრძელებაში ბრალს სდებს ინგლისს, აღნიშნავს რა, რომ ეხლა დროებითი ზავის აუცილებელ პირობათ უნდა იყოს ბერძნების მიერ მცირე აზიის დაუყოვნებელი და სრული გაწმენდა.

— გაზ. „დეილი ექსპრესი“ აღნიშნავს, რომ ბერძნებმა უნდა დასტოვონ სმირნა და ის ოლქები, რომელიც მათ მიიღეს სევრის ხელშეკრულების ძალით.

— **საბერძნეთის უმაღლესმა კომისარმა სმირნაში აცნობა ანტანტის ელჩს, რომ ბერძნები მზად არიან მოახდინონ სმირნის ევაკუაცია.**

— მოკავშირე წრეებმა მიახვედრეს საბერძნეთის მთავრობა, რომ მცირე აზიის ევაკუაცია არის ზავის აუცილებელი პირობა. მდგომარეობა რთულდება ოსმალეთის მოთხოვნილებით, დასცალონ ფრაკია, რაც მოკავშირეებს მიუღებლად მიაჩნიათ.

— იტყობინებიან საბერძნეთში ვენიზელოსის დაბრუნების შესახებ.

ნოტა ბერძნების მხეცობის შესახებ.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. ანგორის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გადასცა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს ოსმალეთში ნოტა, იმ მხეცობის შესახებ, რომელსაც ბერძნები ჩადიან უკან დახევის დროს. ნოტაში აღნიშნულია ქალაქები, სადაც ბერძნები ცეცხლს უჩენდენ მუსლიმანების კვარტალებს. ზოგიერთ ადგილებში ყველა მცხოვრებნი, ბავშვები და ქალები დამწყვდეული იქნენ მეჩეთებში, რომელსაც გაუჩინეს ცეცხლი. ნოტა გამოსთქვამს იმედს, რომ რუსეთის მთავრობა და რუსეთის პრესა სათანადოთ გაასამართლებენ ბერძნების დანაშაულს და შეეცდებიან ზეგავლენა მოახდინონ საბერძნეთის მთავრობაზე, რათა მან ბოლო მოუღოს ასეთ სიმხეცეს.

ოსმალეთის შტაბის ცნობა.

მოსკოვი, 6 სექ. ოსმალეთის შტაბი იტყობინება საბერძნეთის რვა დივიზიის სრულ განადგურების შესახებ. ხელთ იგდეს 200 ზარბაზანი, 600 ავტომობილი, რამდენიმე შტაბი და სარდლები მთელი წამოღებული ქონება არის ინგლისის მიერ მიწოდებული.

მილოცვები ოსმალეთს.

მოსკოვი, 6 სექტემბერი. საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ანგორაში მიულოცა სარდლობას და დიდ ნაციონალურ ყრილობას ოსმალეთის ჯარების გამარჯვება, საბჭოთა რუსეთის სახელით.

— გარეშე საქმეთა სახ. კომისარის მოადგილემ კარახანმა გაუგზავნა ანგორის კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მილოცვა ოსმალეთის ჯარის გამარჯვების გამო.

მილოცვაში აღნიშნულია, რომ რუსეთის ხალხი გულწრფელად იზიარებს ოსმალეთის ხალხის სიხარულს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იბრძვის ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. დიდ ოსმალეთის ხალხმა, ნათქვამია მილოცვაში, იცოდეს, რომ საბჭოთა რუსეთის მუშები და გლეხები თვალყურს ადევნებენ ოსმალეთის ხალხის გმირულ ბრძოლას და გულწრფელად უზიარიათ ოსმალეთის არმიის გამარჯვება.

გერმანია და ანტანტა

ბელგია და გერმანია

ბორდო. 5 სექტემბერი (რადიო). ბელგიის დეპუტატები საკონტრიბუციო კომისიაში დელაკრუა და ბელკელმანი ჩავიდნენ ბერლინში გერმანიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გადახდის გარანტიების შესახებ. „ტანის“ სიტყვით ბელგიამ გადასწყვიტა მტკიცედ დაიცვას თავისი უფლებები. დელეგატების მიერ მიღებული ინსტრუქციებით ფინისისაგან სრულებით გარკვეულ ხასიათის არიან. ამ ინსტრუქციებში ფინისს შეუძლებლად მიაჩნია პროგრამის შეცვლა, ვინაიდან ბელგიას ძლიერ სჭირია ფულები.

წითელი რესპუბლიკები

რუსეთი

საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მაღაზიები

მოსკოვი. 5 სექტემბერი (რადიო). მოკლე ხანში ოდესაში გაიხსნება საგარეო ვაჭრობის კომისარიატის უნივერსალური მაღაზიები, რომელთა ნაწილი იქნება სპეციალურად მუშებისათვის.

ალლუმი ოდესაში

ხარკოვი. 5 სექტემბერი (რადიო). ოდესაში გაიმართა გრანდიოზული ალლუმი პერეკოპის დივიზიის სამი წლის თავის გამო. უკრაინის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელთა გარდა ალლუმს დაესწრო გერმანიის წარმომადგენელი გაი. ამერიკული ნაღმოსანის უფროსი კაპიტანი ატკინო და ამერიკის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი უკრაინაში პოლკოვნიკი გროვზი. მისალოცი სიტყვა წარმოსთქვა უკრაინის და ყირიმის ჯარების უფროსის მოადგილემ ამხ. ეიდემანმა, რომელმაც მიულოცა ყირიმის ვერდენის მებრძოლთ დღესასწაული და გამოსთქვა სრული რწმენა, რომ საბჭოთა მთავრობის პირველი ძახებისთანავე პერეკოპელები ისევ დადგებიან რკინის კედლათ მშრომელთა ხალხის უფლების დასაცავათ და ხელ ახლა მოიპოვებენ სამუდამო დიდებას. დივიზიის შეფის წარმომადგენელმა, მოსკოვის საბჭოს წევრმა, გადასცა მოსკოვის მუშებისა და გლეხებისაგან გამოგზავნილ მებრძოლთ ძმური სალამი. დივიზიის სამხედრო კომისარმა სთქვა: „ჩვენ ვსდგევართ დარაჯათ. გადაეცით ბელადებს, რომ პერეკოპის დივიზიას ყოველთვის შეუძლია არა მარტო უკუქცევა შემოსეულ მტრის, არამედ გამარჯვებაც.“ ახალგაზრდა ჯარის კაცთა სახელით ილაპარაკა ამხ კრასნოვმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა წითელ კომანდირებს მუშათა და გლეხების ძლიერ და განსწავლულ არმიის შექმნისათვის და ფიცი დასდო, რომ ისინი წავლენ უფროს ამხანაგების გზით, რომელთაც შექმნის უკვდავი დივიზია. ჯარების უფროსის თანაშემწე ეიდემანმა ჩააბარა დივიზიის გმირებს წითელი დროშის ორდენები. შესდგა ბანკეტი ეიდემანის და დივიზის ყოფილი უფროსის დიბენკო.

მისალმება ამხ. ლენინს.

მოსკოვი. 6 სექტემბერი (რადიო). ამხ. ლენინის სახელზე მოდის საბჭოთა რუსეთის ყველა კუთხეებიდან მისალმებანი და საჩქარო და საბოლოო გამოჯანმრთელების სურვილი. სხვათა შორის ასეთი მისალმება მოვიდა ნიკოლაევის რკინის გზის პირველი რაიონის ყრილობის დელეგატებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ 15.000 რკინის გზელს, ომსკის პროფ. კავშირთა საგუბერნიო კონფერენციისაგან და სხვ.

სრულიად რუსეთის დამზღვევ ორგანიზაციების თათბირი.

მოსკოვი. 6 სექტემბერი (რადიო). დღეს 5 სექტემბერს გაიხსნა 1-ლი სრულიად რუსეთის დამზღვევ ორგანიზაციების თათბირი. მოვიდა 130 დელეგატი. მისალოცი სიტყვებით გამოვიდნენ სრულ. რუს. პროფ. კავ. საბჭოს და გლეხთა ურთიერთ დახმარების კავშირის ცენტრალურ სექციის წარმომადგენლნი. გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა ამხ. ლენინს. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ თათბირი შეუდგა საქმიან მუშაობას.

არა პირდაპირი გადასახადი.

მოსკოვი 6 სექტემბერი (რადიო). აგვისტოს განმავლობაში მოსკოვში არაპირდაპირი გადასახადი თითქმის იმდენივეა, რამდენიც შეკრებილ იქნა 7 წინა თვეების განმავლობაში, სახელდობრ 329.200.000 აგვისტოში, მაშინ როდესაც 7 თვეში 350.000.000.

კომუნალური ბანკი მოსკოვში.

მოსკოვი. 6 სექტ. (რადიო). ფინანსთა სახ. კომისარიატი იხილავს პროექტს მოსკოვის კომუნალურ ბანკის დაარსების შესახებ, რომლის მიზანი იქნება სესხის მიცემა მოსკოვის საცხოვრებელ ადგილების აღსადგენად, კომუნალურ მეურნეობის საჭიროებისათვის, და აგრეთვე მცხოვრებთათვის მიცემა კომერციული სესხის. ბანკი აწარმოებს შემნახველ ოპერაციებს.

მოსკოვის პროფკავშირთა საგუბერნიო ყრილობა.

მოსკოვი. 6 სექტემბერი (რადიო). 5 სექტემბერს გაიხსნა მოსკოვში მოსკოვის გუბერნიის პროფკავშირთა ყრილობა. აღრიცხულია 590 დელეგატი, აქედან 390 კომუნისტი. მისალოცი სიტყვა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს სახელით წარმოსთქვა ამხ. ტომსკიმ, პროფ. ინტერნის სახელით ამხ. ლაზოვსკიმ. ყრილობამ გაუგზავნა მისალოცი დეპეშა ლენინს, კომინტერნს, სრულ. რუს. პროფ. კავ. საბჭოს და პროფინტერნს.

კონტრ რევოლიუციონური ორგანიზაციები.

ხარკოვი. 5 სექტემბერი (რადიო). ოდესის საგუბერნიო რევ. ტრიბუნალმა მისცა სამართალში კონტრრევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელიც თავს უყრიდა წევრებს „სოიუზ ვოზროჟდენიაში“, და აძლევდა ბანდიტებს იარაღს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქმე გაირჩევა სექტემბერში.

გლეხთა ქონების დაზღვევა.

ხარკოვი. 5 სექტემბერი (რადიო). სახელმწიფო უზრუნველყოფამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გლეხთა ქონების დაზღვევას. სახელმწიფო უზრუნველყოფამ შემოიღო არა მარტო შენობათა დაზღვევა ცეცხლისაგან, არამედ ნათესის სეტყვისაგან და საქონლის დახოცვისაგან დაზღვევაც. შემოღებულია აგრეთვე საზღვაო დაზღვევა. დეკრეტით გათვალისწინებულია სიცოცხლის დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან. ირჩევა საკითხი სახალხო მასიურ დაზღვევის შესახებ. გლეხობა დაზღვევის საქმეს თანაგრძნობით ეგებება. ჯამაგირით დაზღვევას გარდა შემოღებულია გლეხებისათვის ჩაბარებულ სახელმწიფო კომუნალური ქონების დაზღვევა.

სასურსათო გადასახადის აკრეფა ყირიმში.

სიმფეროპოლი, 1 სექტ. სასურსათო გადასახადის აკრეფა ყირიმში წარმატებით მიმდინარეობს. ყირიმის სასურსათო კომისარიატის უკანასკნელი ცნობის თანახმად 15 აგვისტომდე შემოვიდა სულ 312.000 ფუთი, ამავე დროს უკანასკნელ 5 დღეულის განმავლობაში შემოსულია—90,139 ფუთი. აკრეფილი გადასახადი უკვე აღემატება წარსულ წელში შემოსულის რაოდენობას და აღემატება აგრეთვე იმ რაოდენობას, რომლის მიღებას მიმდინარე წელს ფიქრობდა ყირიმის სასურსათო სახ. კომისარიატი. პურის გადაზიდვა მისაღებ პუნქტებში დღითი-დღე ძლიერდება, რაიც აშკარად მოწმობს ნატურგადასახადის აკრეფის საქმის წარმატებას. შვიდ მუდმივ დამამზადებელ კანტორის გარდა, სასურ. გადასახადის აკრეფის დროს მოეწყო კიდევ 8 მისაღები პუნქტი, რაიც მნიშვნელოვანად უადვილებს გლეხობას ნატურგადასახადის ჩაბარებას.

სასურსათო გადასახადის აკრეფის კამპანია ყირიმში წარმატებით მიდის. შეიძლება დანამდვილებით ვთქვათ, რომ ნატურგადასახადის აკრეფა შემდეგშიაც არ შესუსტდება.

ბირჟის ვაჭრობის წარმომადგენელთა ყრილობა

მოსკოვი. 6 სექტემბერი (რადიო) შინაგან ვაჭრობის მმართველობასთან არსებულმა თათბირმა დაადგინა მოიწვიოს ბირჟის ვაჭრობის წარმომადგენელთა ყრილობა.

რკინის გზის ტარიფი.

მოსკოვი. 6 სექტემბერი (რადიო). გზათა სახალხო კომისარმა მიიღო სასწრაფო ზომები შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ. დადგენილება გულისხმობს სარკინისგზო ტარიფის დაკლებას 50 პროც. მუშათა და მოსამსახურეთა კოლლექტივებისათვის, რო-

მელნიც მიდიან სათბობი მასალის დასამზადებლად და დამზადებული შეშის ჩამოსატანად.

გლეხის სახლები

მოსკოვი. 6 სექტემბერი (რადიო). დამთავრდა გლეხთა ურთიერთ დამხმარე ცენტრალური სექციის პლენუმი. პლენუმმა იცნო აუცილებლად არსებობა „გლეხის სახლის“ და მიანდო პრეზიდიუმს მიიღოს აქტიური მონაწილეობა მის მოქმედებაში, დადგენილია ამის შესახებ ფართოდ აცნობონ გლეხობას. საგუბერნიო სექციებმა უნდა იზრუნონ ასეთი სახლების ორგანიზაციისათვის ქალაქებში.

ბასმანობა.

მოსკოვი. 6 სექტემბერი (რადიო). სამარკანდიდან იტყობინებიან: წითელი არმიის ჩქარი მოქმედებამ სრული დეზორგანიზაცია შეიტანია ბასმანთა რიგებში სამარყანდის ოლქში, რის გამო კურგანის რაიონში დარჩა არა უმეტეს ორი ბასმანისა.

ყირიმში.

მოსკოვი. 6 სექტემბერი (რადიო). ახალი მოსავალზე დამყარებული იმედი არ გამართლდა. მიმდინარე წელს ყირიმის დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს დასჭირდება შეინახოს 350.000 ყირიმის მცხოვრები. განსაკუთრებით ბავშვების მდგომარეობა აუტანელია. შემოდის სოფლის საბჭოებიდან შუამდგომლობები ბავშთა სახლების გახსნის შესახებ.

სადგური „ლენინსკაია“.

მოსკოვი. 6 სექტემბერი (რადიო). ბორისოვის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა სადგურ ვიტჩენინოს დაარქვას „ლენინსკაია“.

დახმარება დამშეულთ.

მოსკოვი 6 სექტემბერი (რადიო). ასტრახანში მეორეჯერ ჩავიდა იტალიის წითელი ჯვრის მისია, რომელმაც ჩაუტანა დამშეულთ 150.000 კონსერვი, მედიკამენტები, საპონი, ფქვილი.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

მოსკოვი. 6 სექტემბერი (რადიო). პროვინციიდან მოდის აუარებელი ცნობები ახალგაზრდობის დღის დიდ ზეიმად ჩატარების შესახებ, ტომსკში შესდგა კრება მშრომელ ახალგაზრდობის. გაგზავნილია დეპეშა ახალგაზრდობის კომინტერნისათვის.

ნიჟნი-ნოვგოროდში გაიმართა ალლუმი, მანიფესტაცია და სახალხო სეირნობა.

ბრინსკში დღესასწაული დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა. მოხდა მრავალ რიცხოვანი მუშების და წითელ არმიელების დემონსტრაცია.

სასურსათო კამპანია.

მოსკოვი. 6 სექტემბერი, სათესლე სამეულის ცნობით სამი სექტემბრამდე მთელს საბჭოთა ფედერაციაში დაგროვებულია 3.290.000 ფ. სათესლე.

სიმბირის გუბერნიაში საზაფხულო ხორბალი აკრეფილია. მიმდინარეობს კარტოფილის აკრეფა. დესეტინა იძლევა ხუთას ფუთ ქართოფილს. საზამთრო ხორბლის დათესვა გრძელდება.

სიმბირსკში იხსნება საგუბერნიო ყრილობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა. ირიცხება ოცამდე სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი. კოოპერაციაში ჩაბმულია 216 მეურნე.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

სიძვირე

მოსკოვი, 6 სექტემბერი (რადიო). სიძვირის საწინააღმდეგო დემონსტრაციის დროს შარლოტენბურგში პოლიციის შენობის წინ მოხდა სერიოზული შეტაკება. მუშები ცდილობდენ იერიშის მიტანას დატუსაღებულთა გასათავისუფლებლად. პოლიციამ მიმართა იარაღს.

— ქუჩაში შეტაკების დროს ბერლინის მიდამოებში დაჭრილია 20 კაცი, მოკლულია 1.

სასურსათო საკითხი გერმანიაში.

ბორდო. 5 სექტემბერი (რადიო). ჰამბურგში გაიხსნა გერმანიის სახელმწიფოების სასურსათო მინისტრების თათბირი სასურსათო საკითხის მოსაგვარებლად.

ბავარიაში.

ბორდო. 5 სექტემბერი (რადიო). სოციალ-დემოკრატიული პარტია ბავარიაში გამოშვებულ მანიფესტში მოუწოდებს ყველა მუშებს მზად იყვნენ მონარქიის რესტავრაციის ცდის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

ამერიკა

მაღაროებში მომუშავეთა გაფიცვის შესახებ ამერიკაში.

ბორდო. 5 სექტემბერი (რადიო). ფიქრობენ, რომ პრეზიდენტი გარდინგის ჩარევა ბოლოს მოუღებს მაღაროების მუშების გაფიცვას. მუშათა ფედერალურ კომიტეტის დადგენილებამ ჩიკაგოში, რომლის ძალით ეკრძალებათ გაფიცულთ გასწიონ პროპაგანდა რკინის გზელთა შორის მუშაობის შეწყვეტის შესახებ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე.

ირლანდია

ბორდო. 5 სექტემბერი (რადიო). პტი პარიზიენის ცნობით ბრიტანეთის სამხედრო გემი შევიდა კორკის ნავთსადგურში, რათა ხელი შეუშალოს აჯანყებულთათვის იარაღის მიწოდებას დასავლეთ ირლანდიაში.

გერმანია და საფრანგეთი

ნაუენი. 5 სექტემბერი (რადიო) „ეკო დეპარი“-ში საფრანგეთის სენატორ ლიუბორსაკმა გამოაქვეყნა გერმანიის მრეწველ გუგო სტინესთან მოლაპარაკების შესახებ დაწვრილებითი ცნობები, რომელშიაც დადებულია კონტრაქტი საფრანგეთის განადგურებულ, რაიონებისათვის სააღმშენებლო მასალის მიწოდების შესახებ. ვინაიდან საფრანგეთის მთავრობა უმოქმედებას იჩენს დანგრეულ რაიონების აღსადგენად წარმოებულ მუშაობის მხარის დაჭერაში, ამ რაიონების მცხოვრებნი, სახელდობრ მესაკუთრეთა ფედერაცია, იძულებულია დასდოს უშუალოდ ხელშეკრულება გერმანიის მწარმოებლებთან, რისთვისაც მისცა რწმუნება სენატორ ლიუბერსაკს აწარმოოს მოლაპარაკება სტინენსთან. შეთანხმება მიღწეულ იქნა 13 აგვისტოს, რომელშიაც სტინენსი გარანტიას იძლევა მიაწოდოს ყოველი მასალა, რომელნიც საჭიროა განადგურებულ რაიონების მესაკუთრეთა ფედერაციისათვის.

ზემო სილეზიაში

ნაუენი. 5 სექტემბერი (რადიო) ზემო სილეზიის გერმანულ ნაწილის პლებისციტმა მისცა 91 (?) ხმა ზემო სილეზიის პრუსიის განმგებლობაში დატოვების სასარგებლოდ და მისი ცალკე ავტონომიურ ოლქად გამოყოფის წინაალმდეგ.

გამოცემათა აღკრძალვა.

ნაუენი. 5 სექტემბერი (რადიო). რეინის საკავშირთშორისო კომისიამ შეაჩერა გაზ. „კელნიშე ცეიტუნგის“ გამოცემა 3 დღით.

ერთა ლიგაში.

ნაუენი. 5 სექტემბერი (რადიო). ერთა ლიგის მესამე წლიური სხდომა გაიმართა ჟენევაში 4 სექტემბერს რომელზედაც ლიგის 51 წევრისაგან დაესწრო 42 ლიგის მუშაობის ხანგრძლივობა არ გასცილდება 3—4 კვირას. გერმანიის ერთა ლიგაში მიღების საკითხი დღიურ წესრიგში არ არის.

ინდოეთში

ნაუენი. 5 სექტემბერი (რადიო). ახლახაბადიდან იტყობინებიან განგის უეცრად გადიდების შესახებ, რომელმაც დაფარა მრავალი სოფლები ორივე ნაპირებზე და რკინის გზის ხაზი.

სხვა და სხვა ამბები

ბორდო. 5 სექტემბერი. საფრანგეთის კომერციული დელეგაციამ, გაიარა რა ლოძში, ჩავიდა ვარშავაში, სადაც მას შეხვდენ მუნიციპალიტეტის წევრები.

პუანკარეს პასუხი

ბორდო. 5 სექტემბერი (რადიო). იტალიის პრესის მიერ პუანკარეს პასუხი ბალფურის ნოტაზე მიღებულია კეთილგანწყობილებით. „ტრიბუნა“ სწერს საფრანგეთის და იტალიის ინტერესების ერთიანობაზე.

„ნიუორკ ტრიბუნის“ სიტყვით პუანკარეს ნოტა ბალფურის ნოტაზე ფართე ჰორიზონტს შლის სხვა და სხვა საკითხების მოსაგვარებლად, რომლებსაც აქამდე ვიწრო თვალსაზრისით უდგებოდენ. ევროპის გასაჯანსაღებლათ, საფრანგეთი დღეს ცდილობს დიდი როლის თამაშს.

უმაღლესი საბჭოს მოწვევა.

ჰანოვერი. 5 სექტ. გაზ. „ობსერვერის“ სიტყვით, ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს ახლო მომავალში მოიწვიოს უმაღლესი საბჭო სარეპარაციო საკითხის განსახილველად. მაგრამ ეს მოწვევა მოხდება არა უადრეს ერთა ლიგის სესიის დამთავრებისა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ექსპერტთა უმრავლესობა, და რომელიც დამთავრდება არა უადრეს ერთი თვისა.

ერთა ლიგაში.

ბორდო. 5 სექტ. ერთა ლიგის სესიის მოხსნისას, თავმჯდომარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან სთქვა, რომ ერთა ლიგის 3 წლის არსებობამ დაამტკიცა, რომ იგი არის აუცილებელი მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ორატორი მოუწოდებს არ დიეცენ სულით იმ დაბრკოლებათა და სიძნელეების წინაშე, რომელიც დგას ლიგის წინაშე.

ბორდო. 5 სექტემბერი. ავსტრიის კანცლერმა სეიპელმა წარუდგინა ერთა ლიგის საბჭოს თხოვნა ავსტრიისათვის 50 მილ. დოლარის სესხის მიცემის შესახებ. ფიქრობენ, რომ სახელმწიფოებს არ შეეძლებათ ამ კრედიტის მიცემა მხოლოდ შესძლებენ გარანტიის მიცემას იმ პირობით, თუ რომ ავსტრია მიმართავს თავის პოლიტიკას დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით.

ჰანოვერი. 5 სექტემბერი. საბერძნეთის მთავრობის წინადადებით კვირას ერთა ლიგა განიხილავს საკითხს განიარაღების შესახებ.

ჰანოვერი. 5 სექტემბერი. ერთა ლიგის სესიის გახსნის დროს წარმოდგენილი იყვნენ 39 სახელმწიფო. ფიქრობენ, რომ არგენტინის გარდა სესიაში მონაწილეობას მიიღებენ შუა და სამხრეთ ამერიკის ბევრი სახელმწიფოები. განზრახულია მოეწყოს ჩამოსულ დელეგატების საპატივცემლო ბანკეტი ერთ-ერთ სასტუმროში ჟენევის ტბაზე.

ერთმანეთს კბენენ.

ჰანოვერი. 5 სექტემბერი. ვაშინგტონიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობების თანახმად ნიუ-კესტლში ამერიკის საელჩოს დაარსებას ინგლისის მთავრობა მეტად არა სასურველად სთვლის.

ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის მოწვევის გამო.

ჰანოვერი. 5 სექტემბერი. ლოიდ-ჯორჯმა გამოსთქვა სურვილი სექტემბრის ბოლოში ვენეციაში ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციის მოწვევის შესახებ.

რომი 5 სექტ. ინგლისსა და საფრანგეთს შორის სწარმოებს მოლაპარაკება ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციის ვენეციაში მოწვევის ვადის საკითხის შესახებ.

ინგლისს სურს გადასდოს კონფერენციის მოწვევის ვადა, ხოლო საფრანგეთი დაჟინებით მოითხოვს დაუყოვნებელ მოწვევას. ფიქრობენ, რომ კონფერენცია მაინც სექტემბერში იქნება მოწვეული.

საარის ოლქი.

მოსკოვი. 6 სექტ. გერმანიის მთავრობამ განაახლა შუამდგომლობა ერთა ლიგის წინაშე საარის ოლქიდან საფრანგეთის ჯარების გაყვანის შესახებ.

შეიარაღებულ ძალის შემცირება.

მოსკოვი. 6 სექტ. შეიარაღებულ ძალის შემცირების კომისიამ ინგლისში მიიღო სესილის რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ შეუძლებელია სერიოზულად ლაპარაკი შეიარაღებულ ძალების შემცირებაზე, სანამ არ იქნება საერთო თავდაცვის კავშირის მტკიცე გარანტიები.

საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობა.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობა დღითიდღე მწვავდება. ინგლისის პრესა გამოსთქვამს უკიდურეს აღშფოთებას პუანკარეს უკანასკნელ ნოტის შესახებ და განსაკუთრებით იმის შესახებ, რომ საფრანგეთი მიუთითებს ინგლისს იმ მაღალ ფასებზე, რომელიც ინგლისმა დააწესა საფრანგეთისათვის მისაწოდებელ სამხედრო მასალებზე. საფრანგეთის პრესის ერთი ნაწილიც უხერხულობას გრძნობს ამ ნოტის გამო. გაზ. „ჟურნალი“ შიშობს, რომ ნოტას მოჰყვება სრულიად საწინააღმდეგო შედეგები იმისა, რაც გათვალისწინებული იყო.

კომუნისტების დაპატიმრება ამერიკაში.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. გაზ. „იუმანიტე“ იტყობინება ამერიკის კომპარტიის ლიდერის ფლოსტერის ჩიკაგოში დაპატიმრების შესახებ, მისი პარტიულ ყრილობაზე გამოსვლის გამო. 80 დელეგატიდან პოლიციამ დააპატიმრა 18 დელეგატი.

პროფკავშირები ჩინეთში.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. ტიანძინის პროფკავშირების სეკრეტარიატმა წარუდგინა პარლამენტს მუშების მოთხოვნილება. მუშები და შეგირდები მოითხოვენ პროფკავშირების თავისუფლებას, 6 საათის სამუშაო დღეს შეგირდებისათვის და სოციალურ დაზღვევას.

გაფიცვები შვეციაში.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. შვეციაში გაიფიცნენ ასოთ-ამწყობები. დილის გაზეთები აღარ გამოსულან.

პოლონეთ ჩეხიის მოლაპარაკება.

მოსკოვი. 5 სექტ. (რადიო). „ნაშ კურიერ“ იუწყება, რომ პოლონეთსა და ჩეხიის შორის მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

ლოიდ-ჯორჯი და ერთა ლიგა.

მოსკოვი. 1 სექტემბერი. „ჟურნალ დე‘ჟენევ“ იუწყება, რომ ლოიდ ჯორჯი ჟენევაში განზრახულ ერთა ლიგის სესიაზე აპირებს სიტყვის წარმოთქმას, რომელშიც განზრახული აქვს ერთა ლიგის გადასარჩენად წამოაყენოს წინადადება მასში გერმანიის, უნგრეთის და ოსმალეთის წევრებათ მოწვევაო.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

მილიციის გაჯანსაღება. მილიციის გაჯანსაღების მიზნით, მის შემადგენლობაში საბჭოთა ხელისუფლების მომხრე და წარსულში ჩირქ მოუცხებელ მუშებისა და გლეხების ჩარიცხვის გზით, სამურძაყანოს პარტიულ კომიტეტთან შესდგა სპეციალური კომისია იმ პარტიულების და უპარტიოთა გადასარჩევად, რომელთაც სურთ მილიციაში სამსახური. თავის ნებით მილიციის სამსახურში შესვლის სურვილი გამოსთქვა 50 კომუნისტმა.

სამურძაყანოს მაზრაში. სამურძაყანოს აღმასკომის და პარტიული კომიტეტის გაერთიანებულ სხდომის დადგენილებით სწარმოებს სკოლის შენობების შეკეთება. არის იმედი, რომ მომავალი წლისათვის ყველა სკოლები შეკეთებული იქნება და განათლების სახ. კომისარიატის ენერგიულ დახმარებით, შესაძლებელი იქნება სკოლებში რეგულიარული მეცადინეობის მოწყობა.

პარტიული კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლას. წარსული თვის განმავლობაში ადგილი ქონდა რამოდენიმე გაძარცვას და მკვლელობას, მაგრამ ყველა ბოროტმოქმედნი დაკავებული არიან.

სომხეთი

ერევანი, 5 სექტემბერი (დეპეშით).

წითელ-არმიელების უზრუნველყოფა.

წითელ-არმიელების უზრუნველყოფის საქმის რეორგანიზაციისათვის გაიმართა ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა და შეფების თათბირი. თათბირზე გამოირკვა, რომ რადგანაც შეფებს თავისი მოვალეობა ვერ აქვთ სათანადოთ შეგნებული, მათ აქამდე არ მიუქცევიათ სათანადო ყურადღება, წითელ-არმიელების მატერიალურად უზრუნველყოფის საქმისათვის. თანამედროვე მომენტის სასწრაფო ამოცანას წარმოადგენს ყაზარმების შენობების შეკეთება. წითელ-არმიელთა და მშრომელი მასების დაახლოებისათვის და მათ შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, მოხდა სწორი გადანაწილება სომხურ და რუსულ ჯარის ნაწილების შეფებს შორის. სომხეთის ცენტრალურ აღმასკომთან დაარსდა ბიურო, რომელშიაც შედის ცენტრალურ აღმასკომის და [illegible] ცენტრ. კომიტეტის [illegible]ნელნი და ჯარის ნაწილებისაგან თითო წარმომადგენელი შეფების მ[illegible]მავალი მუშაობის სახელმძღვანელოდ და მოსაწესრიგებლად.

მონოპოლია. სახალხო კომისართა საბჭოს ეკონომიურმა კავშირმა მიიღო დეკრეტი ნავთის პროდუქტებით ბითუმად ვაჭრობისა და მათი სომხეთის საზღვრებში შემოტანის მონოპოლიის შესახებ.

შეშის დამზადება. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს მიეცა 10 ვაგონი ხორბალი, ქერი და მარილი შეშის დასამზადებლად.

საქონლის თავისუფალი ტრიალი.

სასურსათო სახალხო კომისარმა ამხ. ივანიანმა დაუგზავნა სამაზრო სასურს. კომიტეტებს დეპეშები, რომ თანახმად ამიერ კავკასიის საკავშირო საბჭოს დადგენილებისა, რესპუბლიკათა შორის საზღვრები გახსნილია და საქონლის ტრიალი თავისუფალია. ამხ. ივანიანი წინადადებას იძლევა ხელი შეუწყონ ამ დადგენილების ცხოვრებაში წესიერად გატარებას.

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი.

მოქმედება სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის გამოიხატება შემდეგში: მიეცა 251 წითელ-არმიელის ოჯახს დახმარება—თითოს 375 კაპ. ოქროთი. პენსია 59 ინვალიდს, თითოს 375 კაპ. ოქრო. სამოქალაქო ომში დაზარალებულთ 39 ოჯახს— თითოს 15 მან. ოქრ. მიეცა მანუფაქტურა, ფულით დახმარება, პროდუქტები 143 გაჭირვებულთ. პური 312 ს. სრულ უზრუნველყოფაზე იმყოფება 92 ინვალიდი.

სასკოლო გადასახადი.

ერევნის მაზრის არდაზიანის რაიონში დაწყებულია სასკოლო გადასახადის შეკრება. სოფ. აგამზალუმ შემოიტანა 100 ფ. ხორბალი; ტაზაგიუზმა 150 ფ. ულუხანლუმ—170 ფუთი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი

(5 სექტემბრის სხდომა)

5 სექტემბერს, საღამოს მუშათა სასახლის დიდ დარბაზში ამხ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი.

ნაშვილებ ჯარის ნაწილების შესახებ.

(ამხ. ტონილოვის მოხსენება)

ესალმება რა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმს კავკასიის ცალკე არმიის ჯავშნოსან ნაწილებთა სახელით ამხ. ტონილოვი გადადის საჯავშოსნო ნაწილების მდგომარეობაზე და ამბობს, რომ მაშინ, როცა ყველა დანარჩენი ნაწილები მშვიდობიან მდგომარეობაში იმყოფებიან, ჯავშნოსან ნაწილებს კვლავ წინანდებურად უხდება ნახევრად საომარ მდგომარეობაში ყოფნა, რათა სავსებით დაცულ იქნას მუშების და გლეხების მშვიდობიანი შრომა. მაისის შუა რიცხვებში ჯავშნოსან ნაწილებმა მიიღო საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს შეფობა რომელმაც დააკავშირა ჯავშნოსანთა მოტორებთან მდგომი და მშვიდობიანი შრომის დამცველნი მუშები მშვიდობიან შრომაში გართულ მუშებთან.

ამ მომენტიდან მთავარ ამოცანად იქნა აღიარებული პროფკავშირებთან იდეური კავშირის დამყარება, მაგრამ ეს იქნა მიღწეული მხოლოდ თბილისში; რაც შეეხება ქუთაისსა და ბათომს, აქ არ არის მჭიდრო იდეური კავშირი, ვინაიდან ჯავშნოსან ნაწილებს უხდება სხვა და სხვა ადგილებში მოგზაურობა. გარდა იდეური კავშირისა, ჯავშნოსან ნაწილები ღებულობდენ შეფიდან მატერიალურ დახმარებას: 3450 არშ. მანუფაქტურა, თმის გასაკრეჭი მანქანები და სხვა და სხვა ნივთები და ფულად სხვადასხვა დროს 24 მილიონი მანეთი, ხოლო აგვისტოდან ყოველთვიურად ეძლევა მას 10 მილიონი მანეთი სკოლისათვის, ხოლო ამას წინად მიიღო 200 ტანსაცმელ-

სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაცია

სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხი არის ისეთი საკითხი, რომელიც მოითხოვს ყოველმხრივ გაშუქებას, როგორც პრესაში ისე მოხსენებაში ეკონომიურ თათბირებზე. ამ საკითხის სწორ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია როგორც ცალ ცალკე რესპუბლიკის, ისე მთელი ამიერ-კავკასიის ეკონომიური პოლიტიკის გამორკვევა და ამ პოლიტიკისათვის სათანადო გეზის მიცემა. ამიტომ სავსებით გასაგებია ის ინტერესი, რომელითაც ჩვენი ამხანაგები უდგებიან ამ საკითხს.

სამწუხაროდ არც ერთი იმათგანს, ვისაც წილად ხვდა ამ საკითხის შესახებ თავისი აზრის გამოთქმა არ შეუძლია არ უსაყვედუროს სასურსათო სახ. კომისარიატს, „სასურსათო გადასახადის აკრეფას მუშაობა ეს არის ეხლა იწყება“, ისინი (ამიერ-კავკასიის სასურსათო სახ. კომისრები) ღმერთმა არ იცის როგორ დიდსა და რთულ მუშაობას ეწევიან.*) ამხ. ავაქოვს, სრულებით ვერ წარმოუდგენია, სახალხო კომისართა საბჭომ თუ რატომ მიანდო სასურსათო სახ. კომისარიატს მატყლზე და აბრეშუმის პარკზე მონოპოლიის განხორციელება. სახელმწიფო ვაჭრობას მისი აზრით, უნდა აწარმოებდენ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები. ხოლო ამხ. პადერინი, როგორც კოოპერატორი, ურჩევს არ ჩაიდინონ ეს, ვინაიდან საკმარისია საკავშირო საბჭოსთან მოეწყოს მცირე კომისია და ამით გათავდება საქმე. მისი აზრით არა მარტო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები არიან დაინტერესებული სახელმწიფო ვაჭრობით. „საჭიროა მოვიგონოთ“—ამბობს ის, რომ სავაჭრო საკითხებით არა ნაკლებ დაინტერესებული არის აგრეთვე მომხმარებელი კოოპერაცია, რომელიც არის გაერთიანებულ მომხმარებელის, მუშის და გლეხის ორგანიზაცია,“ **) ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ კოოპერაცია დაინტერესებულია ვაჭრობით და რომ საერთო კოოპერაცია კარგი საქმეა. საკითხი ამაში არ არის. ამგვარ მოსაზრებებს მაშინ ექნებოდა ღირებულება, თუ რომ ამხ. ავაქოვი და პადერინი, ერთი როგორც სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელი და მეორე, როგორც კოოპერატორი, არ უდგებოდენ ამ საკითხს თავისი უწყებების თვალსაზრისით.

მაშ, რაში მდგომარეობს სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციის ძირითადი ამოცანა?

საითკენ ვისწრაფით და რა მიზანს ვემსახურებით?

ვაჭრობა, მხოლოდ ვაჭრობისათვის, რა თქმა უნდა არ არის სასურველი, ჩვენი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ვაჭრობის თავისუფლების არსებობის დროს მოწესრიგებულ იქნეს ბაზარი, ვებრძოლოთ „გათავხედებულ კერძო კაპიტალს“ და ამ ბრძოლიდან გამოვიდეთ გამარჯვებული ისე, რომ არ მოვშალოთ ქვეყნის მეურნეობა.

ამ იდეის პრაქტიკულად განხორციელების დროს ჩვენ საქმე გვაქვს მთელ რიგ მიზეზებთან, რომელიც ადგილობრივ პირობების მიხედვით გვაიძულებს ჩვენ შევცვალოთ ბრძოლის მეთოდები და ამ მეთოდების ცხოვრებაში გატარების პირობები.

„ცენტრალური რუსეთის, უკრაინის, ციმბირის შაბლონად გადაქცევა, ამბობს ერთ-ერთ თავის მოხსენებაში ამხ. ლენინი, ამ მხარეების ერთი შაბლონისათვის დაქვემდებარება—იქნება უდიდესი სიბეცეო“. თუ ამას თქმა საჭირო იყო რუსეთის მიმართ, რომლის ცალ ცალკე რაიონები ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის მომენტში თითქმის ერთნაირ პირობებში იყვნენ, ეს მით უმეტეს უნდა ითქვას, როდესაც საკითხი ეხება კერძო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას ამიერ-კავკასიის ფარგლებში. შაბლონურად გადმოღება იმისა, რასაც აკეთებენ ამ დარგში ცენტრალურ რუსეთში, სრულიად ზედმეტია. კერძო ვაჭრობას ჩვენში არ განუცდია ისეთი დიდი თავდასხმა, როგორც რუსეთში. სახელმწიფო ორგანოები ცენტრში დღემდის განაგრძობენ ბატონობას კერძო ორგანიზაციებზე. იქ „ბრძანებული მაღლობები“ იმყოფება სახელმწიფოს ხელში, ჩვენში არც კი არსებობს ეს „მაღლობები“, რომლის ხელში ჩაგდების შემდეგ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ქვეყნის ეკონომიკის მთავარი ძარღვი არის საბჭოთა ხელისუფლების ხელშიო. თუ ეს ასეა, მაშინ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციის გეგმა, ისე როგორც კერძო კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი სულ სხვა გვარი უნდა იყოს.

ამიერ-კავკასიაში აუარებელი კერძო წარმოებებია (გარდა ნავთის და შავი ქვის მრეწველობისა), რომელნიც ბადებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ წვრილ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას.

საქართველოს, მაგალითად, არ განუცდია სამხედრო კომუნიზმის ხანა.

აქედან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ საჭიროა კერძო ინიციატივის\მაქსიმალური შევიწროება.

კერძო მწარმოებელთა ინიციატივა დასაშვებია, მაგრამ სახელმწიფომ უნდა დაიტოვოს უფლება ამა თუ იმ საშუალებით ბაზრის მოსაწესრიგებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარიატის ბატონობა ამიერ-კავკასიაში დაჰკარგავს თავის ძლიერებას.

რა საშუალებით უნდა მივაღწიოთ ამას?

იმისათვის, რომ მოწესრიგებული იქნეს ბაზარი, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა უნდა შექმნან სავაჭრო ორგანიზაციები, გადასდონ ამ ორგანიზაციებისათვის სათანადო ფონდი და მისცენ მათ დავალება გაუწიონ მუშათა კლასის ეკონომიურ მტრებს კონკურენცია.

შეუძლიათ თუ არა, ცალკე რესპუბლიკებს გამოჰყონ ამ მიზნისათვის სათანადო ფონდი?

არა, არ შეუძლიათ ვინაიდან მათ არ აქვთ ასეთი საშუალებანი.

ეს გარემოებაც არის ერთგვარი შემაფერხებელი სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციისათვის.

უფონდოთ, როგორც ვიცით, არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

წვრილ მწარმოებლების დაინტერესება, მათი გამოყენება სახელმწიფო ორგანიზაციისათვის, სულ ადვილია, როცა გვაქვს სათანადო საშუალებანი, რის გარეშეც არ შეიძლება ნორმალური კავშირის დამყარება ქალაქსა და სოფელს შორის.

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოების წარმომადგენლები, აღარ გვისაყვედურებდენ, რომ სხვა კომისარიატები აწარმოებენ ვაჭრობასო, თუ კი მათ განკარგულებაში იქნებოდა ფონდი.

მე რამდენადაც ვიცი, არავის არ აუკრძალავს და არც უკრძალავს მაგ. საქართველოს ან აზერბეიჯანის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოებს მოაწყონ სავაჭრო წარმოებანი, გავლენა მოახდინონ ბაზარზე, ებრძოლონ „გათავხედებულ კერძო კაპიტალს“. და სხვა..

რატომ არ სჩადიან ისინი ამას? არა იმიტომ, რომ საქ. სასურსათო სახ. კომისარიატი მონოპოლისტია, არამედ, იმიტომ რომ მათ არა აქვთ საშუალებანი. დეე, დაგვიმტკიცოს ამხ. ავაქოვმა, რომ მას აქვს საკმაო საშუალებანი, ცოდნა, გამოცდილება და მას აქვს აპარატი მატყლის და აბრეშუმის პარკის მონოპოლიის ცხოვრებაში გასატარებლად და მაშინ ის დაინახავს, რომ არავის არ სურს უარი უთხრას მას ამ საქონლის მონოპოლიის მისთვის გადაცემაზე.

მაგრამ ჯერ ჯერობით ამ დარგში ჩვენ ვისმენთ მხოლოდ ლაპარაკს. საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელს, ჩემი აზრით, არა აქვს უფლება თავი შეიქციოს გაზ. „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს დადგენილების კრიტიკით, იმ დადგენილებისა, რომლის გამოტანაში მონაწილეობას ღებულობდა და ღებულობს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მეთაური.

იმისათვის, რომ ოდნავად მაინც დავაკმაყოფილოთ სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნილებანი, ფართო მოხმარების ფარგლებში, საჭიროა მოვახდინოთ შემდეგი საქონლის რეალიზაცია:

პური	1.000.000	ფ.
ღვინო	3.000.000	ვედრო.
ნიგ. და თხილი	200.000	ფ
ხილი	500.000	ფ.
დაფ. ფოთოლი	100.000	ფ.
თამბაქო	500.000	ფ.
აბრეშ. პარკი	10.000	ფ.
მატყლი	70.000	ფ.

ძაგარი, ნედლი ტყავი, ნაწლავები და სხვა, ამ მიზნისათვის საჭიროა 3.590.000.000 მანეთი ქართული ბონებით —ანუ 35 მილიონი მანეთი ოქროთი. სამივე რესპუბლიკებში ეს ციფრი გაიზრდება სამჯერ თუ მეტჯერ არა. რამოდენა თანხა არის საჭირო თუნდაც ისეთი ოპერაციის დასაწყებად, რომელსაც შეუძლია ასე თუ ისე კონკურენცია გაუწიოს კერძო ბაზარს. როგორია ხვედრი წონა იმ ორგანიზაციისა, რომელიც მოწყვეტილი იქნება მასებს ერთის მხრივ და რომელსაც არ ექნება ერთი მეორედი იმისა, რაც საჭიროა საქმის დასაწყებად.

სად არის ეს საშუალებანი?

სად არის საშუალება გაერთიანებულ მტკიცე აპარატის მოსაწყობად.

ასეთი საშუალებანი არ არის. ამით აიხსნება თვითეული სამეურნეო კომისარიატის მისწრაფება, საკუთარი ძალ-ღონით, ინიციატივით, ენერგიით, შექმნა სავაჭრო თანხის და ამით დახმარება გაუწიოს მცხოვრებლებს, სასურსათო სახ. კომისარიატმა შეძლო მოეწყო აპარატი ღვინის, მატყლის, დაფნის ფოთლის, კაკლის, აბრეშუმის პარკის და სხვ. რეალიზაციისთვის. რატომ უნდა შეუშალოთ ხელი მას ამ საქმეში? თუ მიწათ მოქმედების სახ.- კომისარიატი შესძლებს გაასაღოს ღვინო შაბიამნის და მცხოვრებთათვის საშუალო მეურნეობის მანქანების შესაძენად, ვისთვის იქნება ეს ცუდი? რა თქმა უნდა საბჭოთა ხელისუფლების მტრებისათვის.

აქედან ცხადია, რომ თვითეული სამეურნეო კომისარიატის სავაჭრო მოღვაწეობა გამოწვეულია არა პიროვნებათა სურვილებით, არამედ თვით ცხოვრების სინამდვილით. ამის წინაშე არ გვმართებს თვალის ახვევა.

ჩვენ შესაძლოა გვისაყვედურონ, რომ დაუშვებელია ყველა ეკონომიური კომისარიატები გამოვიდნენ მოღვაწეებათ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციის დარგში, აგრეთვე დაუშვებელია განავითარონ მათ სავაჭრო წარმოება, თუნდაც იმიტომ რომ მათ შორის იბადება კონკურენცია და ამით მხოლოდ კერძო კაპიტალი მოიგებსო. ეს მოსაზრება რა თქმა უნდა ყურადღების ღირსია, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, მკითხველო, რომ სახელმწიფო ორგანოებს შორის კონკურენციაზე ლაპარაკი ზედმეტია იმ დროს როდესაც ყველა სამეურნეო კომისარიატები გაერთიანებული არიან ეკონომიურ საბჭოში რესპუბლიკის მაშტაბში.

ეკონომიური საბჭო უნდა წარმოადგენდეს ისეთ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს ყველა სამეურნეო ორგანოებს. ის უნდა ამტკიცებდეს თვითეულ სამეურნეო კომისარიატის მუშაობის გეგმას სახელმწიფო ვაჭრობის სფეროში, შეათანხმებდეს მათ მოქმედებას და გამოსვლებს,— ანაწილებდეს დავალებებს და სხვა.

ყველა სამეურნეო კომისარიატები უნდა იქნას გაერთიანებული ერთ დაწესებულებაში ეკონომიურ საბჭოში, თვითეულის მოღვაწეობა უნდა იქნას შეფასებული იქ, როგორც ცენტრალურ ორგანოში, რომელიც აწესრიგებს და კანტროლს უწევს თვითეულ კომისარიატის მოქმედებას.

ამ გვარად, ცალკე რესპუბლიკების ეკონომიური საბჭოები იქნებიან პირველი ორგანიზაცია, რომელიც განაგებს სახელმწიფო ვაჭრობის საქმეს, ხოლო სამეურნეო კომისარიატები— მისი სხვა და სხვა სახეები დღევანდელ პირობებში ორგანიზაციის სხვა საშუალებანი არც არის და არც შეიძლება იყოს.

სხვა საქმეა, თუ როგორ გაატარებენ ცხოვრებაში ცენტრალურ დაწესებულების დავალებას ცალკე კომისარიატები. ჩვენ გვგონია ასე, რომ ეკონომიური საბჭო ერთ ერთ სამეურნეო ორგანოს დაავალებს გაატაროს ცხოვრებაში მონოპოლია, ვთქვათ მატყლზე ან აბრეშუმის პარკზე, მეორეს ნავთის გაყიდვაზე, მესამეს სასოფლო მეურნეობის სხვა ნაწარმოებთა გაყიდვის ორგანიზაციას, სახელმწიფო მრეწველობის პროდუქტების გაყიდვას და სხვა.

ყველა ეს დავალებანი სისწორით უნდა იქნას შემუშავებული, შეთანხმებული ურთიერთ-შორის იმ ანგარიშით, რომ ადგილი არ ექნეს კონკურენციას და ქიშპობას ამ დავალებათა ცხოვრებაში გატარების დროს.

ა. ერქომაიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

---

*) იხ. „ზარია ვოსტოკა“ № 60.

**) იხ. „ზარია ვოსტოკა“ № 53.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ სკოლის ერთ წლიან კურსებზე მიღების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს

ცირკულიარული

სკოლაში მიღება დაიწყება ამა წლის 10 სექტემბერს და გაგრძელდება ამავე თვის 20 რიცხვამდე.

შენიშვნა: გამოგზავნილ უნდა იქნან ამხანაგები იმ ვარაუდით, რომ ისინი ჩამოვიდენ თბილისში არა უადრეს ამა წლის 10 სექტემბრისა. გამოგზავნილი ამხანაგი, რომელიც ჩამოვა 20 **სექტემბრის შემდეგ** არ იქნება მიღებული.

§ 1. ცენტრალური პარტიული სკოლა მიზნად ისახავს საბჭოთა—პარტიულ მუშაკების მომზადებას და ამიტომ ორგანიზაციებს მართებს სერიოზულად მოეპყრან კურსანტების შერჩევას და მხედველობაში მიიღონ შემდეგი:

ა) შკოლაში იგზავნებიან პარტიის წევრნი, ან კანდიდატები მუშებიდან და გლეხებიდან, რომელთაც აქვთ თეორეტიული მეცადინეობის უნარი და დაამტკიცეს თავის ერთგულება **საბჭოთა ხელისუფლებისადმი.**

ბ) იმ ამხანაგებმა, რომელნიც შედიან 1-ლ საფეხურის შკოლაში, უნდა იცოდენ წერა-კითხვა, ხოლო მე-2 საფეხურის კურსანტებმა, გარდა ამისა, უნდა ეხერხებოდესთ წაკითხული ზეპირად და წერილობით მოთხრობა.

გ) იგზავნებიან ამხანაგები არა უმეტეს 35 წლისა და არა ნაკლებ 18-ისა.

შენიშვნა: ვინც ამ მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს და მეცადინეობის 2 კვირის განმავლობაში არ გამოიჩენს სერიოზულ თეორეტიულ მუშაობის უნარს, უკანვე იქნება დაბრუნებული.

§ 2. ჩამოსული ამხანაგები ჩაირიცხებიან შკოლაში საექიმო გასინჯვის შემდეგ. ის პირნი, რომელნიც ცოტა ხნის წინად დაავადმყოფებულ იქნენ რაიმე სნეულებით, აგრეთვე სუსტნი. რომელთაც აქვთ მწვავე სისხლნაკლულოვნება, ნევრასტენია, ტუბერკულოზი, ვენერიული ავადმყოფობანი და სხვა შკოლაში **არ იქნებიან მიღებულნი.**

§ 3. შკოლაში ყველა კურსანტები იქნებიან მოთავსებული საერთო საცხოვრებელში (общежитие) აგრეთვე დაკმაყოფილებულნი იქნებიან სასწავლო ნივთებით, მეცადინეობის დროს, წიგნებით, სადილობით და სტიპენდიით 300 ათასი მანეთი).

შენიშვნა: პარტიულ კომიტეტებს წინადადება ეძლევათ მიიღონ სათანადო ღონისძიება კურსანტების ოჯახების უზრუნველსაყოფელად ადგილობრივ საშუალებებიდან როგორც მაგ. შეღავათების დაწესება, ადგილობრივ გადასახადებისაგან, ნატურალურ ბეგრის მოხდისაგან და კომუნალურ ხარჯების ანაზღაურებისაგან და სხვ. სრულ განთავისუფლებამდე.

§ 4. მეცადინეობის დროს შვებულებები არავის მიეცემა, ვინაიდან სასწავლო წლის განმავლობაში იქნებიან მოკლე ვადიანი კანიკულები.

§ 5. კურსანტები თვითონ უნდა ემსახურონ შკოლას, (დალაგება და სხვა შრომის ბეგრის შესრულება).

§ 6. ორგანიზაციებს ევალებათ:

ა) თავსიდვან გამოგზავნილ ამხანაგების საგზაო ხარჯები.

ბ) დაურთონ მანდატს დაბეჭდილ კონვერტში მდივნის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდის დასმით:

1. კურსანტების ტანთსაცმელის და საცვლების არმატურა:

შენიშვნა: წარმოგზავნილ ამხ. უნდა ქონდეთ ტანთსაცმელის სრული კომპლექტი, და ვალდებულნი არიან წამოიღონ თავიანთი საწოლის მოწყობილებანი.

2) მოკლე ცნობები კურსანტის შესახებ. (წლოვანება, ეროვნება, განათლების ხარისხი, სოციალური მდგომარეობა, პროფესია, პარტიაში შესვლის დრო, თანამდებობა, რომელიც მას უკავია საბჭოთა სამუშაოზე 21 წლიდან).

3) კურსანტის ხელწერილი იმის შესახებ, რომ შკოლაში შესვლის ყველა პირობები მას გაცნობილი აქვს.

ხსენებულ დოკუმენტების გარეშე კურსანტები **შკოლაში არ იქნებიან მიღებულნი.**

§ 7. ამა ცირკულიარის სისრულეში მოყვანა და კერძოდ იმის შემოწმება, თუ გამოგზავნილი ამხანაგები აკმაყოფილებენ ცირკულიარის მოთხოვნილებებს მომზადების და ჯანმრთელობის მხრივ, ევალებათ სამაზრო კომიტეტების მდივნებს მათი პასუხისმგებლობის ქვეშ.

განაწილება ორგანიზაციებს შორის

	II საფეხურის სკოლაში	I საფეხურის სკოლაში
1) კომუნისტურ ახაგაზრდ. კავშირის ცენტრ. კომიტ.	25 „	25 „
2) ქალთა განყოფილების	25 „	25 „
3) ქალ. ტფილისს	20 „	— „
4) ტფილისის მაზრის	10 „	15 „
5) აფხაზეთს	10 „	— „
6) ბათუმის ოლქს	10 „	— „
7) სამხრეთ ოსეთს	5 „	— „
8) სიღნაღს	5 „	7 „
9) თელავს	5 „	7 „
10) დუშეთს	5 „	7 „
11) ფოთს	6 „	— „
12) სენაკს	6 „	7 „
13) ქუთაისს	10 „	— „
14) ახალქალაქს	4 „	7 „
15) გორს	10 „	— „
16) ბორჩალოს	5 „	7 „
17) ლეჩხუმს	5 „	7 „
18) ოზურგეთს	5 „	7 „
19) ზუგდიდს	5 „	7 „
20) შორაპანს	10 „	— „
21) რაჭას	3 „	7 „
22) ახალციხეს	5 „	7 „
23) თიონეთს	4 „	8 „

საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მდივანი **ხაზაშვილი.**

ც.კ. სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგის მოადგილე **კვირიკაძე.**

ს კომპლექტი. ამას გარდა აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს ყაზარმების შენობებს, განსაკუთრებით სკოლას, სადაც არ მოიპოვება მაგიდები, ასე რომ კურსანტებს უხდებათ საწოლებზე მეცადინეობა.

სკოლამ მოაწყო უკვე ერთი გამოშვება და ახლო მომავალში მოხდება მეორე 70 კაცის რაოდენობით.

საერთო ჯამი შეკეთებისათვის გაანგარიშებულია ხარჯთაღრიცხვით 45,725 ათსი მანეთის რაოდენობით.

ამხ. ჯუღელის წინადადებით პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს გამონახოს აღნიშნული თანხები არა მარტო საკუთარ რესურსებიდან, არამედ აგრეთვე სხვა წყაროებიდანაც და ამავე დროს ავალებს პრეზიდიუმს მიუთითოს ბათომის და ქუთაისის პროფესიონალურ ორგანოებს, რომ აუცილებელია დამყარდეს მჭიდრო კავშირი შვილებ ნაწილებთან.

მუშათა სახლების შესახებ.

საკითხი მუშათა სახლების,—მათი შეკეთების და შეკეთებისათვის საჭირო საშუალებათა გამოძებნის შესახებ არა ერთხელ აღძრულა პლენუმის სხდომებზე. მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მაშინ, როცა ზოგიერთ შენობებში მოიპოვება დარაბები—ერთ ერთი შემოსავლის წყარო—სხვა დანარჩენ შენობებში ის სრულებით არ არის, და არ არის სწორედ იქ, სადაც ყველაზე, უფრო აუცილებელია შეკეთება. მიიღეს ამხ. ჯუღელის წინადადება სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ, კომუნალურ მეურნეობის და ქალაქის აღმასკომის საამშენებლო მუშაკთა კავშირების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ამ კომისიის განკარგულებაში შევა ყველა მუშათა სახლების შემოსავალი და ის მოახდენს ყველა მუშათა სახლების შეკეთებას

ცენტრალური დამზღვევი კასის ანგარიში.

(ამხ. იაშვილის მოხსენება)

აგვისტოს პირველ რიცხვებში არჩეულ იქნა ახალი გამგეობა, რომლის მუშაობა შეაფერხა იმ გარემოებამ, რომ დასაზღვევთა რიცხვი გაიზარდა რამდენიმე ათეული ათასით და არსებულმა აპარატმა თავი ვერ გაართვა ამ მუშაობას. მტკიცე განსაზღვრულ რესურსების უქონლობის გამო 21 წ. მუშაობა იყო დამყარებული მთავრობის პერიოდულ სუბსიდიებზე. მაგრამ დამზღვევმა ორგანოებმა ვერ გამოიყენეს ყველა შესაძლებლობანი, რათა არ შეეწყვიტათ მუშაობა. ამ პირობებში მიმდინარეობდა ორგანიზაციული მუშაობა და შევსძელით თითქმის მთელს რესპუბლიკაში გაგვეფართოებია დამზღვევ კასების ქსელი.

21 წლის განმავლობაში მონაწილეთა ავადმყოფობის დღეები გამოიხატა 97165 რაოდენობით, ხოლო დახმარება გაცემულია 130 მილიონი მანეთის რაოდენობით.

სიკვდილით შემთხვევა იყო 374 და დახმარება დაკრძალვისათვის გაიცა 53 მილიონ მანეთის რაოდენობით. მონაწილეთა ოჯახის წევრების სიკვდილის შემთხვევა იყო 671 და დახმარებისათვის გაღებულ იქნა 61 მილიონი მანეთი. მონაწილე ქალთა მშობიარობის შემთხვევა აღნუსხულია 107, დახმარება მიცემულ იქნა 5,645 ათ. მანეთის რაოდენობით, ხოლო მონაწილეთა ცოლების მშობიარობის შემთხვევა აღნუსხულია 505, დასახმარებლად გაღებულია 52 მილიონი მანეთი.

სულ 21 წ. განმავლობაში შემოვიდა 853 მილიონი მანეთი და გარდა ამისა 69 მილიონი მანეთი დახარჯულია.

სამკურნალო დახმარებისათვის დაარსდა სამკურნალო განყოფილება. 25 ამბულატორია მოწყობილია მედიკამენტებით და საექიმო პერსონალით და ინახება დამზღვევი კასის ხარჯზე. ამბულატორიები მოწყობილია ან ფაბრიკა ქარხნებთან ან მუშათა ცენტრში, რაიონულ ამბულატორიების გამოკლებით, რომლებშიდაც დახმარება ეძლევა საბჭოს მოსამსახურეებსაც. მოიპოვება 5 კბილის საექიმო ამბულატორია, სადაც საექიმო პერსონალს კასა ჯამაგირებს არ აძლევს, ხოლო აწვდის თავის ხარჯზე მედიკამენტებს. ამის გარდა გახსნილია სპეციალური საზაფხულო საავადმყოფო 50 ტუბერკულიოზიან ავადმყოფთათვის, რომელიც უფასოდ გადმოგვცა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა, ხოლო ინახება საკუთრით კასის ხარზე.

სამუშაო ხელფასიდან პროცენტების გადარიცხვის შემოღების შემდეგ, მთავრობამ შესწყვიტა სუბსიდიების გაღება, ხოლო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა უფასო წამლობა. გადარიცხვის განაკვეთები რუსეთთან შედარებით მცირედია და დღის წესრიგში სდგას მათი გადასინჯვა. ამოცანათ უნდა იქნას აღიარებული დაზღვეულების უზრუნველყოფა წარმოების ხასიათის მიხედვით.

აუცილებლად უნდა დამყარდეს მტკიცე ფონდი, რომ არ არსებობდეს საშიშროება დაზღვევის საქმის დროებით ჩაშლის შესაძლებლობათ.

პროვინციებში ცხოვრებაში ტარდება ისეთივე ზომები დაზღვევისა, როგორიც ცენტრში, მაგრამ ამ ბოლო დროს მოგვდის ცნობები, რომ საქმე ცუდად არის დაყენებული დასაზღვევ გადასახადის შეუტანლობის გამო.

თბილისის კასას, რომელიც წინად დახმარებას აძლევდა პროვინციებს, სამეურნეო ანგარიშზე გადარიცხვის შემდეგ, აღარ შეუძლია კვლავ განაგრძოს ასე.

აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ კავშირებში პროცენტების გადარიცხვის საქმე არ არის სწორად დაყენებული.

ყველა კავშირებიდან მხოლოდ გემოკვების კავშირმა იქონია გავლენა სამეურნეო ორგანოებზე.

ამ ჟამად აღრიცხვაზეა აღებული 2500 წარმოება—10,780 მუშებით, საიდანაც უნდა აკრეფილ იქნეს პროცენტების გადარიცხვა და ამ შემოსავალით დახმარება უნდა გაეწიოს 40 ათასამდე მუშა-მოსამსახურეს.

შემოსავლის რაოდენობა მაინც იზრდება და 22 წლის თვეების მიხედვით შემდეგში გამოიხატება:

იანვარი—177 მ. მან., თებერვალი—1067 მ. მ, მარტი—1244 მ. მან., აპრილი—1248 მ. მან., მაისი—1417 მ. მან., ივნისი—1964 მ. მან., ივლისი—2443 მ. მან. და აგვისტო—1923 მილ. მანეთი.

მოხსენების მოსმენის შემდეგ, ცენტრალურ დამზღვევ კასის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

1) დაუყონებლივ შეუდგენ რესპუბლიკის დამზღვევი საბჭოს მოწყობას, როგორც დაზღვევის საქმეთა უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოსი.

2) გადასინჯულ იქნას დამზღვევ კასების არსებული ხელმძღვანელი ორგანოები მათი ვარგისიანობის მიხედვით, და დამზღვევი კასები მოეწყოს არჩევნების წესით—ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენციებზე.

3) დაარსდეს რესპუბლიკის ძლიერი ფონდი სხვა და სხვა სახის დაზღვევისათვის, ამ ანგარიშით დასაზღვევი გადასახადი დაწესდეს მუშაობის მავნებლობის და საშიშროების მიხედვით.

4) დაევალოს კავშირებს დახმარება აღმოუჩინონ სოციალური დაზღვევის ორგანოებს, დასაზღვევი გადასახადის წესიერად აკრეფის საქმეში.

ქრონიკა

◆ **პუშკინის წიგნთსაცავ-სამკითხველოს** საჭიროებისათვის ქალაქის აღმასკომმა მიიღო 10 მილიონი მანეთი.

◆ **განათლების მუშაკთა სახლი.** განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ საექსკურსიო ბიურო აწყობს კავშირის წევრთათვის ექსკურსიას კახეთში, კვირას 10 სექტ. მსურველების ჩაწერა დაიწყო და სამგზავრო ფასი 250.000 მან. რომელიც მიიღება კავშირის შენობაში (ოთახი № 35) 10—2-მდე.

◆ **„ქვის მფრქვეველი“** სამშაბათს 5 სექტემბერს სად. 10 საათ. როზენის ქუჩაზე ზევიდგან ქვევით მოჰქროდა ავტომობილი № X ისეთი სისწრაფით, რომ ქვაფენილს სთხრიდა და გვერდებზე ქვებს აფრქვევდა. ერთი ამგვარი ქვა მოზრდილ ბურთის ოდენა მოხვდა ფეხში მოშორებით მიმავალს კომპოზიტორს კ. ფოცხვერაშვილს ისეთი ძალით რომ წვივის ძვალი სულ დაუქუჟა. დროა ავტომობილების თარეშს ყურადღება მიექცეს.

◆ **სეტყვა შულავერში.** აგვისტოს 30-ს საღამოს 9 საათზე შულავერის ზემო ნაწილში საშინელი სეტყვა მოვიდა, რომელიც სივრცით კაკლის ოდენა იყო. სეტყვამ დიდად დააზარალა ვენახები და ხილის ბაღები. მოსპობილია მოსავლის 50 პროც. სეტყვამ მიწა არშინის მეოთხედის სიმაღლეზე დასდო და დილამდე გასტანა. სეტყვამ აგრეთვე გადაიარა კაჩაგანისა და ოპრეთის თემებზე. აღძრულია შუამდგომლობა, რათა კომისია დაინიშნოს ზარალის გამოსარკვევად.

◆ **საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში.** პროფ. ავალიანის ხსოვნის აღნიშვნა. განათლების სახალხო კომისარიატმა შეიტანა სახ. კომისართა საბჭოში წინადადება აღნიშნონ ხსოვნა საბჭოთა ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლის პირველი არჩეული რექტორის პროფ. ავალიანის, რომელმაც დიდი შრომა დახარჯა უმაღლ. სასწავლებლის რეორგანიზაციისათვის საბჭოთა პრინციპების მიხედვით, რისთვისაც შუამდგომლობს რესპუბლიკის ხარჯზე აგებულ იქნას ძეგლი და მიეცეს განსვენებულის მეუღლეს დახმარება.

◆ **ბათომის ელექტროფიკაცია.** აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს განზრახვა აქვს ბათუმის ელექტროფიკაციისათვის შეიძინოს მანქანა; ამისათვის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს საამშენებლო ნაწილმა შეიტანა კომისართა საბჭოში წინადადება აქიდანვე შეუდგნენ გიდრო-ელექტრონის სადგურის აშენებას კორონის-წყალის მდინარეზე, რომელიც მისცემს ბათუმს 1,250 ცხ. ძალას, რაც ზედმიწევნით ეყოფა ბათუმს ექვსი წლის განმავლობაში. სადგურს მოსაწყობად საჭიროა 260,000 მანეთი ოქროთი.

აღნიშნულ გიდრო-ელექტრონულ სადგურის მოწყობა მისცემს ქალაქს იაფ ენერგიას, ფართე შესაძლებლობას მრეწველობის განვითარებისათვის, ტრამვაის გასაყვანად და სხვ. და გაანთავისუფლებს ქალაქს აუარებელ ნავთის ხარჯებიდან.

ამიტომ გიდრო-აღმშენებლობას მიაჩნია უსარგებლოდ აღდგენა ელექტრონულ სადგურებისა ახალი მანქანების შეძენით, მით უმეტეს, რომ მისი სრული აღდგენისათვის საჭიროა არა ნაკლები თანხა, ვიდრე გიდრო ელექტრონულ სადგურისათვის, ნაწილობრივი აღდგენა კი უბრალო პალიატივია.

პარტიული ცხოვრება.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი იძლევა წინადადებას

ერთიან პარტიულ დღეს

8 სექტემბერს დასმული იქნეს დღის წესრიგში საკითხი: 1) პარტიულ კონფერენციის შედეგების შესახებ, 2) პარტიის წესდება. ამ საკითხების გასაშუქებლად უნდა ისარგებლონ შემდეგი მასალით:

1) რეზოლიუცია ანტისაბჭოთა პარტიების და წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგიის საკითხის შესახებ, „პრავდა“ № 178 10 აგვისტო 1922 წ.

2) კოოპერაციის შესახებ—„პრავდა“ № 177, 9 აგვისტო, იგივე გაზ. „კომუნისტ“-ის 188 №-ში.

3) პროფესიონალურ მუშაობის შესახებ გაზ. „პრავდა“ № 175, 6 აგვისტოს 22 წ.

4) კოგანოვიჩის წერილები გაზ. „პრავდაში“ № 183 და 184, 16 აგვისტო და 18 აგვისტო.

5) ამხ. ზინოვიევის მოხსენების კონსპექტი, რომელიც დაურიგდებათ მიმაგრებელ ამხანაგებს.

(3—1) ტფილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

ახალგაზრდათა კომკავშირში

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა ორგანიზაციებს

ა. წ. 15 სექტემბერს რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი იწვევს ტფილისში კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის 2-ე საოლქო ყრილობას.

დღის წესრიგი:

1) ფედერატიულ რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.

2) საერთაშორისო ახალგაზრდობის მოძრაობა.

3) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ანგარიში და მოხსენება. „ამიერ კავკასიის კავშირის გაწმენდის შესახებ“.

4) სრულიად რუსეთის მე-IV ყრილობისა და ახალგაზრდათა კომკავშირის ამიერ-კავკასიის I ყრილობას გადაწყვეტილებათა გატარების შედეგები.

5) ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობა ახალ პირობებში.

6) ახალგაზრდობის არაკომუნისტური ორგანიზაციების შესახებ.

7) რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის არჩევა.

8) დელეგატების არჩევა სრულიად რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ყრილობაზე.

ყრილობა გამოჰყოფს მუშა ახალგაზრდობის პოლიტიკურ-განმანათლებელ, შრომის, ყოფაცხოვრების და განათლების სექციებს.

წარმომადგენლობის ნორმა: 250 კაცზე—1 დელეგატი.

დელეგატები დაშვებულნი იქნებიან მხოლოდ გადამწყვეტი ხმის უფლებით.

რუსეთის ახალგაზრდობათა კომკავშირის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი **ვ. ფეიგინი.**

სამტრედია.

27 აგვისტოს შესდგა სამტრედიის ახ. კომ. კავშირის ადგილობრივ და რაიკომის ახლო მყოფ სოფლების იაჩეიკების გაერთიანებული კრება. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ა. მუქერია, მდივნად ამხ. შ. ნიკურაძე.

დღის წესრიგში იდგნენ შემდეგი საკითხები:

1. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის, 3 სექტემბრის, ჩატარება. 2. რაიკომთან პოლიტ. წრის დაარსება, 3. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ევგენი ლაკტიონოვმა, რომელმაც გააცნო კრებას ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის ისტორია და მისი დღის მნიშვნელობა. ამის შემდეგ იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელშიდაც კრება გამოსთქვამს სურვილს, რათა ეს დღე ღირსეულად იქნეს ჩატარებული. მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა რაიკომის ორგ-ინსტრუქტორმა ამხ. ვ. კაკაბაძემ, რომელმაც განმარტა პოლიტ-წრის მიზანი და მნიშვნელობა. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლის ძალითაც პოლიტ წრის ხელმძღვანელის გამოძებნა დაევალა რაიკომს. მოიძებნენ ბევრი მსურველი ამხანაგები ამ წრეში მუშაობისათვის. ამის შემდეგ წაკითხული იქნა რამოდენიმე მუხლი „კომუნიზმის ანბნიდა“, და მათ გარშემო გაიმართა სჯა-ბაასი. კრება დაიხურა „ინტერნაციონალით“.

ევ. ლაკტიონოვი.

სასურსათო გადასახადი

კამპანიის მსვლელობა.

სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ მიღებული დამატებითი ცნობები კვლავ ადასტურებენ, რომ სასურსათო გადასახადის საქმე საიმედო და გამოცდილ პირების ხელშია, რის გამოც საგადასახადო კამპანია ყველგან წარმატებით და ნორმალურად მიმდინარეობს. უკანასკნელი ცნობების მიხედვით სასურსათო გადასახადის საქმე ამ ჟამად შემდეგ მდგომარეობაშია:

დუშეთის მაზრა. სასურსათო გადასახადის კამპანიას უკანასკნელ ხანში სიცხოველე დაეტყო. ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით აგვისტოს 31-სთვის შემოსულია ხორბალი: საგურამოს თემიდან—403 ნახ. ფუთი, მცხეთის თემიდან—700 ფუთი (ამ თემში შეგროვება ამ დღეებში დასრულდება), ჩოპორტის რაიონიდან—303 ნახ. ფ., ქ. დუშეთიდან—40 ნახ. ფუთი და ბაზალეთიდან—262 ფუთი. ამას გარდა ბაზალეთის რაიონში შეგროვილია 45 ფუთი ლობიო. ამ რიგად სულ შემოსულია 1799 ფუთი. ამ დღეებში გადასახადის აკრება დაიწყო აგრეთვე მუხრანისა, ჟინვალისა, კობისა, ყაზბეგისა და ფასანაურის თემებში, მაგრამ ამ თემებიდან ოფიციალური ცნობები ჯერ არ არის მიღებული. არის სრული იმედი, რომ წელს სასურსათო გადასახადი მდლად იქნება აკრებილი.

გორის მაზრა. გადასახადის აკრება სწრაფად წარმოებს, **არის რაიონები, სადაც აკრებილია მთელი 100 პროცენტი**, მაგრამ არის ისეთი ადგილებიც, სადაც მუშაობა ჯერჯერობით გაჩაღებული არ არის კლიმატიურ პირობების გამო. სექტემბრის 1 მდე შეგროვილია: ხორბალი—58,459 ფუთი, ქერი—572 ფუთი და ფულად—22 მილიონი მანეთი.

სამხრეთ ოსეთი. ჯერჯერობით შეგროვილია 7.000-მდე ფუთი ხორბალი. ზოგ ადგილას შეგროვება არ არის დაწყებული კლიმატიურ პირობათა გამო, მაგრამ სიები უკვე შედგენილია და შეგროვება მაშინვე დაიწყება, როგორც დაბინავებული იქნება მოსავალი.

სიღნაღის მაზრა. აგვისტოს 25 დან სექტემბრის 1 მდე ოფიციალურ ცნობებით შეგროვილია: ხორბალი—3,064 ფუთი, ქერი—128 ფუთი, ლობიო—169 ფუთი, ფეტვი—41 ფუთი და მატყლი—79 ფუთი.

რაჭის მაზრა შარშანდელ გადასახადის ნარჩენების აკრება უკვე დაიწყო. სოფლელნი იხდიან ფულს. მაზრაზე შეწერილი გადასახადი აგვისტოს 7-ს განაწილებულ იქნა თემებზე სათემო აღმასკომთა წარმომადგენლების ყრილობის მიერ. ამ ჟამად კი სწარმოებს გადასახადის განაწილება სოფლებზე და გადამხდელთა შორის. სამაზრო სამეულში შედიან: სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვლ. მესხი, სამაზრო სასურსათო კომისარი ამხ. ლონგინოზ მასხარაშვილი და ამხ. ნიკ. გიორგობიანი.

თელავის მაზრა. აგვისტოს 31-ვის შეგროვილია: ხორბალი—34.000 ფუთი, ქერი—9000 ფ., ლობიო—2.100 ფუთი და კარტოფილი—200 ფ. დიდი ნაკლებობაა ტომრებისა. შეგროვილ ხორბლიდან ტფილისში გაიგზავნა სახალხო სასურსათო კომისარიატის სახელზე 17 ვაგონი ხორბალი.

სულ რამდენია შეგროვილი ხორბლეულის ერთეულად?

სახალხო სასურსათო კომისარიატის სასტატისტიკო განყოფილების დოკუმენტალურ ცნობების მიხედვით **აღმოსავლეთ საქართველოს რვა მაზრაში სექტემბრის 5 მდე შემოსულია 150.559 ფუთი ხორბლეულის ერთეული.** წელს შეგროვილ გადასახადის რაოდენობა უკვე მეტია მთელ იმ ჯამზე, რომელიც შარშანდელ საგადასახადო კამპანიის დროს იყო აკრებილი. შარშან შეგროვილი პროდუქტებიც რომ ხორბლეულის ერთეულებად გადავაქციოთ, მაშინ მივიღებთ 132.593 ფუთს.

წელს შეგროვილი გადასახადი ხორბლეულის ერთეულებად რომ გადავაქციოთ, ცალ-ცალკე მაზრაში შემდეგი სურათი იქნება: გორის მაზრაში შეგროვილია 58.858 ფუთი ხორბალი, თელავისაში—36.180 ფ., ტფილისისაში—15.350 ფ., ახალციხისაში—8.731 ფ., სამხრ. ოსეთისაში 6.584 ფ, თიანეთისაში—3.608 ფ. და დუშეთისაში—1.937 ფ.

თუ ამ მაზრებს ერთმანეთთან შევადარებთ იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანში რამდენი პროცენტი შეწერილ გადასახადისა შეგროვილია, მაშინ დავინახავთ, რომ აქ პირველი ადგილი უჭირავს თელავის მაზრას, სადაც უკვე შეგროვილია შეწერილ გადასახადის 60,3 პროცენტი. შემდეგ მიდის გორის მაზრა, სადაც შეგროვილია 58,8 პროც., სამხრეთ ოსეთი—32,9 პროც., თიანეთის მაზრა—18,0 პროც., ახალ-ციხისა—14,5 პროც., და დუშეთისა—5,2 პროც.

აფხაზეთი.

მდივნების თათბირი. საოლქო კომიტეტში კომიაჩეიკების მდივანთა უკანასკნელ თათბირზე გაირჩა მიმდინარე პარტიული ცხოვრების საკითხების მთელი რიგი. ცენტრის დირექტივების თანხმად საჭიროა დეკემბრისათვის მოხდეს პარტიის წევრთა შორის პოლიტიკისა და საერთოდ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. მომავალში პარტიაში მიღებულ იქნება მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე ამხანაგები. ამის გამო პარტიის ყველა წევრები დაიყოფებიან ჯგუფებად და მათ დაევალებათ სისტემატიურად იარონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის და საერთო განათლების სკოლებში, დადგენილ იქნა პარტიულ მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნეს იაჩეიკებში, რომელნიც უნდა მჭიდროთ დაუკავშირდენ იმ სამეურნეო ორგანოების და დაწესებულებების ცხოვრებას, რომლებზედაც ისინი მიმაგრებული არიან.

ეკონომიური ცხოვრება

ბაქოს ბირჟა.

ბაქო, 31 აგვისტო ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი:

	29 აგვ.	30 აგვ.
დოლარი	6.200.000	6.300.000
გირ. სტ.	28.600.000	28.700.000
ფრანკი	520.000	530.000
ლირა	280.000	280.000
ლირა თათ. ქ.	4 250.000	4.300.000
მარკა	8.200	8.400
რუსის ვალდ.	98	97
„ 1922 (შემც. 100 ათას.)	98	97
„ „ ზევით	98	97
„ „ ვალდ. 10 მილ.	98	97
შემც. ვალდ. 5 000 და 10000	98	97
ქართული	2.600	2,600
10 მ. ოქ.	29.500.000	29.650.000
ლ. თ. ოქ	24.000.000	24.400.000
ნატ. 56 სინ.	5.800.000	5 700 000
თუმანი	3 800.000	3.900.000
1 მან. ვერ.	1.625.000	1.650.000
1 მ. ვ. დახ.	675.000	690.000

განწყობილება მტკიცეა

ერევნის ბირჟა.

ერევანი. 5 სექტემბერი (დეპეშით). უცხოეთის ვალიუტის საბაზრო კურსი: ოქროს 10 მან.—42—43.000.000 თათრული ლირა ოქროს—38.000.000 დოლარი—10.400.000., ლირა თათრული ქაღ.—6.800.000 ქართული ბონი—30.000. თუმანი—7.000.000.

ბათომის ბირჟა.

ბათომი. 5 სექტემბერი. უცხოეთის ვალიუტის კურსი:

	1 სექტ.	4 სექტ.
გირ. სტ.	1.175.000	1.225.000
ფრანკი	21.000	21.000
ლირა იტ.	11.000	11.000
ლირა თათრ. ქაღ.	160.000	166.000
ოქროს 10 მან.	1.035.000	1.080.000
ოქროს ლირა	880.000	880.000

კონსტანტინეპოლის ბირჟა.

კონსტანტინეპოლი. 3 სექტემბერი (რადიო). უცხოეთის ვალიუტის კურსი:

	30 აგვ.	2 სექტ.
გირ. სტ.	758	749
დოლარი	169,5	166
20 ფრანკი	260,6	261,4
20 ლირ. იტალ.	140,7	147,3
20 მარკა	2,3	2,5
ოქროს 10 მან.	812	793
ოქროს ლირა თათრ.	732	715

პარიზის ბირჟა.

პარიზი. 5 სექტემბერი (რადიო). ლონდონი—57,35 ნიუიორკი 12,8450. გერმანია—0,90, ისპანია—199,01.

ბერლინის ბირჟა.

ბერლინი. 5 სექტემბერი (რადიო). გირ. სტ.—6516,80 დოლ.—1425,21 ჰოლანდიური გულდენი—56429,35.

პროვინციაში

ქალ. სურამი.

ქალაქ სურამმა ბრწყინვალედ იდღესასწაულა კავკასიის ცალკე ლაშქრის ოთხი წლის არსებობის თავი.

დილიდანვე ქალაქი მორთული იყო წითელი დროშებით, ბაირაღებით და დაწესებულებანი მწვანეულობით, ქუჩები იქნა საგანგებოდ დასუფთავებული და მორწყული. განსაკუთრებული შრომა ამ დღის მშვენიერათ ჩატა-

მუშათა ცხოვრება

კანონებზე გვერდის ავლა

წვრილ მოვაჭრეებს ძალიან გაუტკბათ კანონებზე გვერდის ავლა. ამ ვაჭრატონებს ავიწყდებათ, რომ დღეს საბჭოთა ხელისუფლება და ასეთი მათი მოქმედება სასტიკათ იქნება დასჯილი. მაგალითად, ს. კავლაშვილის გასტრონომიულ მაღაზიას არა აქვს მოსამსახურეებისათვის საანგარიშო წიგნაკები. მას ყავს ერთი მოსამსახურე ტყემალაშვილი, რომელიც მასთან მუშაობს 8 წელიწადს, ამ მოსამსახურეს ამუშავებს დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდი, შუადღეზე 3 საათის შესვენებით. მეორე მოსამსახურე ხომასურიძე მიღებულია შრომის ბირჟის გარეშე. ამ მხრივ დანაშაულობისაგან თავის დასახწევათ განაცხადა, ხომასურიძე კომპანიონია და არა მოსამსახურეო. მისი სამართალში მისაცემათ შრომის ინსპექტორმა უკვე შეადგინა სათანადო ოქმი.

ვ. ღ.

საყასბოებში

შრომის ბირჟიდან მუშა ხელის მოთხოვნას ნამეტურ გაურბიან მეყასბეები. მეყასბეები არც სხვა მხრივ იცავენ შრომის კანონებს. მეყასბე **ხუციშვილმა** ბაზარზე ამ ერთი თვის წინათ მიიღო რამოდენიმე მოსამსახურე შრომის ბირჟის გარეშე. მათთვის არც საანგარიშო წიგნაკები აქვს და არც ზღვეულების ფული შეაქვს. მეყასბე **ა. გელაშვილსაც** აღმოაჩნდა მოსამსახურეები შრომის ბირჟის გარეშე მიღებული. მასაც არ შეაქვს ზღვეულების ფული. მეყასბე **ჭაზალოვს** მიღებული ყავს მოსამსახურე შინაურ წესით. თავს იმით იმართლებს, რომ ის ამხანაგიაო. შრომის ინსპექტორმა ყოველ მათგანს შეუდგინა სათანადო ოქმი, რასაც შედეგათ მოყვა მათი ორ-ორ მილიონით დაჯარიმება.

ვ. ხ—ძე.

ქიმიური ქარხანა

ეს ქარხანა არსებობს ბელგიის ქუჩაზე. ქარხანას განაგებს გამგეობა, რომლის თავმჯდომარეთაც ითვლება თულაევი. ქარხანაში არ არის დაცული ტეხნიკურ სანიტარული პირობები. ამ რამოდენიმე ხნის წინათ ქარხანას შენიშნა შრომის ინსპექტორმა მრავალი დეფექტი და კანონზე გვერდის ავლა. ქარხნის მართველობამ ამ შენიშვნებს არავითარი ყურადღება არ მიაქცია და ქარხანა ისევ ძველ მდგომარეობაში დარჩა. 16 აგვისტოს კიდევ ეწვია ქარხანას შრომის ინსპექტორი და რომ დაინახა ძველი დეფექტები გაუსწორებელი, შეუდგინა სათანადო ოქმი, რომლის ძალითაც ქარხანა დაჯარიმებული იქნება 5 მილიონი მანეთით.

პ. ხ.

რკინის გზის მთავარი სახელოსნო

აქ საერთოდ მუშების მდგომარეობა ცოტ-ცოტათ გაუმჯობესდა. წარმოება თითქმის ასი პროცენტით გაძლიერდა. ჯამაგირებსაც კარგათ იღებენ, მუშებს სიმკვირცხლე და მხიარულება ეტყობათ. ერთი მეორეს ულოცავენ საქმის გამოსწორებას. მხოლოდ ზოგიერთი ვაჟბატონები, რომლებსაც ჩვენი და საზოგადოთ ხალხის სიკეთე ვერ მოუნელებიათ, ვერ ისვენებენ და პროვოკაციას ეწევიან, თუმცა ამისთანები ეხლა ჩვენს ქარხანაში ძალიან ცოტაა.

ნ. ხონიკაშვილი.

ცოცორიას საპარიკმახერო

ეს საპარიკმახერო სისტემატიურათ არღვევს შრომის კანონებს. აქ არაა დაცული არც საშუალო დრო და არც კვირა უქმე დღეებში დასვენება. 20 აგვისტოს შრომის ინსპექტორმა შეუდგინა მას ოქმი სამართალში მისაცემად კვირა დღე მუშაობის გამო. ხაზეინთან ერთად მუშაობდა ერთი მისი მოსამსახურეც. ამ ოქმის შედეგათ მოყვა მისი დაჯარიმება.

შემთხვევითი.

უმანკო კრავები.

იმის გამო, რომ ვაჭრები შრომის კანონებს გვერდს უვლიან, ჩვენ ამ სავაჭროების მუშა-მოსამსახურეებს გვიხდება მძიმე პირობებში მუშაობა. მაგრამ შრომის ინსპექცია ენერგიულ ღონისძიებებს იღებს მათ წინააღმდეგ და შრომის კანონების დარღვევისათვის ზოგს სამართალში აძლევს და ზოგსაც აჯარიმებს. ჯარიმებისაგან შეწუხებული ვაჭრები არ აძლევენ შრომის სახალხო საკომისარიატოს მოსვენებას თავის საჩივრებით. თავის გასამართლებლათ ზოგი რას იგონებს და ზოგი რას. აცხადებენ კანონი არ ვიცოდით, „ნეჩაიანათ“ მოგვცდა, ნოქარი კი არა ჩვენი ამხანაგია, „კომპანიონია“ და სხვა მრავალი. ამ ვაჟბატონებმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა გაიგონ ასეთი საჩივრებით ვერაფერს გახდებიან და თუ უნდათ ჯარიმებს თავი დაახწიონ დაიცვან შრომის კანონები, რომელსაც არამც თუ არ იცნობენ, არამედ ზეპირათაც კი იციან.

ნოქარი.

საარაკო ექსპლოატაცია

ვარანცოვის ქუჩაზე ყოფილ „ფანტაზიას“ აბანოში მუშაობს 12 მუშა. მათი მდგომარეობა მეტად მძიმე და ცუდია. ნორმალური სამუშაო დღე მათ მიმართ არაა დაცული. ზოგი მუშა დილის 5 საათიდან იწყებს მუშაობას და მუშაობს საღამოს 7 საათამდის. მუშები ამ ზედმეტ მუშაობისათვის არავითარ გასამრჯელოს არ ღებულობენ. აქ მომუშავეებს ჯამაგირიც ერთობ მცირე აქვთ. ღებულობენ მე 5—6 კატეგორიის ჯამაგირს, მაშინ როდესაც აქ მომუშავეებში მრავალია კვალიფიკაციური მუშა მოსამსახურეები არ ღებულობენ არც სპეც. ტანისამოსს, არც საპონს და არც სხვა რამეს. ყოველივე ამას ადგილკომი არ აქცევს ყურადღებას და არ იღებს სათანადო ზომებს ასეთი ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ადგილკომს მეტი ფხიზლობა მართებს.

პ. ქ.

ტყიბული

მაღაროებში სწარმოებს ზედმეტი მუშაობა, რაც შრომის და დაცვის კანონებით სასტიკათ აკრძალულია. საზოგადოთ მაღაროებში მუშაობა მძიმეთ მოქმედობს მომუშავის ჯანმრთელობაზე და ნამეტურ მაშინ, თუ ეს მომუშავე ზედმეტ საათებსაც მუშაობს. ამ გარემოებას შრომის დაცვის ადგილობრივმა თანამშრომელმა ყურადღება მიაპყრო და მაღაროების მართველ ინჟინერს გაუგზავნა სათანადო ცირკულიარი ასეთი მუშაობის დაუშვებლობის შესახებ. მაღაროს მართველმა უპასუხა, ასეთი მუშაობა ორ კვირას უკვე გასტანს და შემდეგ დავიცავთ 6 საათიან სამუშაო დღესაო. სასურველია კანონი არ ირღვეოდეს.

ტ—ლი.

რებისათვის გაიწია აქ მდგომ ქართულ სამოსწავლო ათასეულმა. მან მწვანეულობით და დროშებით მორთო თავის ბანაკი, (მთავარ) მაისის ქუჩაზედ აღმართა საგანგებო თაღი მშვენიერი სურათებით და შესაფერისი წარწერით.

იქნებოდა მეთერთმეტე საათი, რომ მაისის ქუჩაზედ მუსიკით ჩამოდგა მწყობრად და თაღის წინ ჩამწკრივდა ქართული სამოსწავლო ათასეული, შემდეგ მოჰყვა მას ჩუმათელეთიდან ქართული შეერთებული სამხედრო სკოლა, მოგროვდა აუარებელი ხალხი და მოვიდა ქალაქ სურამის და მის თემის აღმასკომის შემადგენლობა, აღლუმს სარდლობდა სამოსწავლო ათასეულის უფროსი ამხანაგი მაყაშვილი, იგი მიიღო, სურამის და მის თემის აღმასკომის და პარტკომის წევრებთან ერთათ, შეერთებულ სამხედრო სკოლის უფროსმა კომისარმა ამხ. ტალახაძემ. მან პირველად მიმართა მწკრივებს დღესასწაულის ახსნით და მილოცვით, შემდეგ მიულოცა სამკომისარმა ამხ. ობოლაძემ და აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გოგოლაძემ. მერე ჯარმა საზეიმო სვლით მუსიკით გაიარა და წავიდა თავის ბინაზე.

—

საღამოს რვა საათზე ქალაქის საზაფხულო თეატრში გაიმართა წითელ არმიელთათვის უფასო წარმოდგენა. ჯერ ითქვა შესავალი სიტყვა „ოკას“ შესახებ და შემდეგ დაიწყო წარმოდგენა.

მეორე დღეს, კვირას 27 აგვისტოს ქალაქის აღმასკომის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო აუარებელი ხალხი და სოფლიდან ჩამოსული გლეხობა.

მიტინგი გახსნა ამხ. გოგოლაძემ, პირველად ილაპარაკა ამხ. მეტრეველმა შემდეგ თემაზე: „რუსეთის წითელი არმია, მისი მოქმედება და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან დამოკიდებულება“. შემდეგ ამხ. გოგოლაძემ გააცნო გლეხობას დღესასწაულის მნიშვნელობა და გადავიდა გლეხებისათვის საინტერესო თემაზე: „მიწების დეკრეტებზე“, აუხსნა და განუმარტა მათ მიწის ნორმები და მფლობელობის დებულებანი.

მის მერე სიტყვა სთქვა სახკომისარმა ამხ. ობოლაძემ, რომელმაც აუხსნა დამსწრეთ, ახალი ეკონომიური პოლიტიკა „საბჭოთა ხელისუფლების“, დაბოლოს შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ტალახაძემ, მკაფიოდ, დაწვრილებით გადმოსცა გლეხობას, რაში უნდა გამოიხატოს მისი საქმიანი დახმარება, რატომ უნდა გადიხადოს სასურსათო გადასახადი, გაუთვალისწინა—აუხსნა მათ—ვინაა მუშურ-გლეხური მთავრობა და დაუმტკიცა საკმაო საბუთებით, რომ ერთად ერთი მათი ინტერესების დამცველი არის მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება.

საღამოს რვა საათზე ამხ მიხეილ ვარდუაშვილის თაოსნობით გაიმართა მშვენიერი საღამო შესაფერისი წარმოდგენით. ხალხი ბლომათ დაესწრო და დიდი ნასიამოვნები დაიშალა ღამის 2 საათზე.

კოტე ქურდღვანიძე.

დ. საჩხერე

(შორაპის მაზრა)

საბჭოთა ძალა უფლების დამყარებისთანავე საჩხერის და ჭიათურის რევკომის ინიციატორობით საჩხერეში გაყვანილ იქნა მილებით სასმელად სახმარებელი წყალი.

საჩხერის დაქანებულ მდებარეობის გამო ამ წყალს წყლის საქაჩავი მანქანის დადგმა არ დასჭირდა. ამ გაყვანილ წყალს ხმარობენ როგორც საჩხერის მცხოვრებნი, ისე რკინის გზის სადგური. უნდა მიუთითო საჩხერის აღმასკომს შემდეგზე: ღამლამობით მილის კრანებს აფუჭებენ და ამტვრევენ, რამდენი ხანი არის ამ წყლის გაყვანა მოთავებული და დღემდის ამ მილების ხაზზე არ არის დაგებული ქვა ფენილი როგორც ერთ დროს აქაური მცხოვრებლები და სოფლებიდგან შემოსრული ხალხი ძლივს ამოდიოდნენ ტალახში, ისე მოელით ახლაც, თუ მალე არ იქნა ამაზე სათანადო ყურადღება მიქცეული. შემოდგომა მოახლოებული არის და შემოდგომის ხშირი წვიმები სულ მთლად წაახდენს ამ გზას. ერთი აქაური ჩარჩ სპეკულიანტი, ბატონი ეფრემა ბაბელაშვილი, რომელსაც მიმართეს, რომ გააკეთებია თავისი მხვედრი გზა,—ასე გაიძახის: ას წელიწადს რომ ციხეში ჩამსვათ, მაინც არ გავაკეთებო; საჭიროა ადგილობრივმა აღმასკომმა ღონისძიებას ასეთ შემთხვევებში აუხვიოს და ამისთანა ვაჟბატონებს მართლა ანახოს ციხის კარები.

საჩხერე არა ერთხელ და ორხელ გადამწვარა ცეცხლით და ყოველთვის წყლის უქონლობა იყო მიზეზი, რომ ვერ აქრობდენ ცეცხლს თავის დროზე, და მცხოვრებნი შიშით მიჩერებოდნენ ილაჯ გაწყვეტილნი, თუ ცეცხლი თითონ როდის ჩაქრებოდა. ახლა ზამთარი კარზეა მომდგარი და თუ მილების ხაზი სათანადოთ არ დაიხურა, მას არ ჩაუდგება წყალი და ზამთარში ეს მილები გაიყინება და სულ ერთბაშად დაიმსხვრევა, და ამოდენა შრომა კი ჩაივლის ტყუილად.

აქეთ სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს; ახალ პურის მოსავალმა შიმშილი ძალზე შეასუსტა; გლეხები ერთი მეორეს უმართავენ ხელს სიმინდის მოსვლამდის. აქაურ გლეხს რო კითხავთ, როგორი მოსავალი გაქვს, ასე გიპასუხებს: ორი ხელით შეიძლება ჭამო ჭადი მეორე მოსავლამდისო.

ვენახები წრეულ ძალზე წახდენ, რამაც გამოიწვია ღვინის ფასის აწევა.

ხანდრო.

წერილი რედაქციის მიმართ

ჩვენ ქ. თფილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატის სათადარიგო საბადრაგო გუნდი, ვკითხულობთ რა გაზ. „ტრიბუნა“ში ბ-ნ მაქსიმეს წერილებს რომელიც ჩირქს სცხებს სხვებთან ერთად ჩვენც როდესაც ის ამბობს „ქურდები თავისუფლათ განაგრძობენ ბოროტმოქმედებასო,“ მოვითხოვთ ავტორისაგან აშკარათ ალიაროს, ვინ არიან ეს ქურდები და მასთან უცხადებთ მას სასტიკ პროტესტს ასეთი ჭორიკანობისთვის. ჩვენ, ბ-ნო მაქსიმე აღარავისი, მეფის ან მენშევიკების, მონები აღარ ვართ და არც უხმოთ ვემორჩილებოდეთ ვისმეს. ჩვენი დაწესებულების ავკარგიანობაზე ჩვენ თვითონ ვმსჯელობთ, მით უმეტეს იქ სადაც სათავეში სდგას ისეთი პირები, როგორიც ჩვენი სამხედრო კომისარი, ამხ. კობიძე. ჩვენ მოვითხოვთ ბ-ნ მაქსიმეს პასუხისგებაში მიცემას.

მცირე გუნდის უფროსი
სამუილი ლეჟავა.

ხელს აწერს შვიდი წითელ-არმიელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 46.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. წყლისა და წყლის ენერგიის სარგებლობისათვის სასყიდლის დაწესების შესახებ.

რათა სათანადოთ განვითარდეს საშური და უაღრესი მნიშვნელობის სამუშაო წყალთა-შენის დარგისა, როგორიც არის მაგალითად: მორწყვა, დაშრობა, ნაპირთა გამაგრება, წყალდიდობასთან ბრძოლა, წყლის მომარაგება, წყლის ენერგიის გამოყენება (ჰიდრო-ელექტროფიკაცია) და რათა შეიქმნეს საამისო ფონდი,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველგვარი გამოყენება წყლისა და წყლის ენერგიისა სატეხნიკო სამრეწველო მიზნით ვისგანაც უნდა იყოს: სახელმწიფო, საზოგადო და კერძო ორგანიზაციისა, ან პირის მიერ,—გარდა შინაური საჭიროებისა, ე. ი. სანიტარული და ტეხნიკური ხასიათისა (საქონლისათვის წყლის დალევინება, წყლის მომარაგება, მიწის სამუშაო მოძრავი მანქანებისათვის წყლის მიწოდება და სხვა ამისთ.)—შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული სასყიდლის გადახდით სახელმწიფოს სასარგებლოდ.

2. 1-ლი მუხლის თანახმად, წყლის წისქვილის საჭიროებად წყლის ენერგიის სარგებლობისათვის დაწესებულ იქნეს სასყიდელი—ნახევარი გირვანქა ფქვილი თითო ფუთ საფქვავზე. წლიური სასყიდელი განისაზღვრება ერთდროულად წისქვილის საშუალო წლიური ნაყოფიერების მიხედვით, არსებული სამინდო გადასახადი ამ წისქვილებისათვის გაუქმებულ იქნეს.

3. სასყიდელი ესე შეტანილ უნდა იქნეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტში, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წყალთა-შენის განყოფილებისათვის, არა უგვიანეს ოქტომბრის 1 სა, ფქვილად ან ფულად საბაზრო ფასის მიხედვით, რაც დამტკიცებული იქნება მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

4. წყლის წისქვილის შემოსავლის 15 პროც.,—მე 3 მუხ თანახმად, გადაეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო დანარჩენი შემოსავალი უნდა გაიყოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წყალთა-შენის განყოფილებისა და სასურსათო სახალხო კომისარიატის შორის.

5. სასყიდლის რაოდენობა, წესი და ვადა სხვაგვარი სატეხნიკო,—სამრეწველო მიზნით წყლისა და წყლის ენერგიის სარგებლობისათვის განისაზღვრება სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვირკველია.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავჯდ. მ. ტოროშელიძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანის მოადგილე ა. აფანასიევა.

1922 წ. აგვისტოს 31
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 47.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.—სახალხო სასამართლოს დებულების 123 მუხ. დამატების შესახებ.—

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამიერ კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების ფედერატიული საბჭოს მიერ 1922 წლის ივნისის 27-ს თარიღით მე 9 ნომრით გამოცემული დეკრეტის თანახმად, სახალხო სასამართლოთა დებულების 123 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

„ის, ვინც ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების გაერთიანებულ რკინისგზათა წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს იმ საზღაურის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს ადგილობრივი გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, ხოლო თავის მოთხოვნას ამ რკინის გზების სამმართველოს წინაშე არ წარუდგენს ან მოთხოვნის წარდგენის შემდეგ ერთი თვის ვადის გასვლას არ დაუცდის, ჰკარგავს სასამართლოს ხარჯის და საქმის საწარმოებელ გასამრჯელოს მიღების უფლებას იმ შემთხვევაში, უკეთუ გზათა სამმართველო სასამართლოს პირველ სხდომაზე სამართლიანად იცნობს მთელ სარჩელს ან მის ნაწილს. ამის გარდა, მოსარჩელეს გარდაჰხდება გზათა სამმართველოს სასარგებლოდ ხარჯი და საქმის საწარმოებელი გასამრჯელო სარჩელის მთელი თანხის კვალობაზედ, უკეთუ გზათა სამმართველო მთელ სარჩელს სამართლიანად იცნობს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ეს ხარჯი და გასამრჯელო გარდაჰხდება სარჩელის იმ ნაწილის მიხედვით, რომელსაც სამმართველო სამართლიანად იცნობს“.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვირკველია.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მოადგილე ა. აფანასიევა.

1922 წ. სექტემბრის 1.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 48.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკიდან მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში ყოველგვარი ტვირთის თავისუფლად გატანის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნებადართულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკიდან თავისუფალი გატანა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში ყოველგვარი ტვირთისა.

2. ყველა დადგენილება და განკარგულება, რომელიც უკვე გამოცემულია ამის გამო, გაუქმებულ იქნეს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკველია.**

სასურსათო სახალხო კომისარი **ა. ერქომაიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მოადგილე **ა. აფანასიევა.**

1922 წ. სექტემბრის 1.

სარედაქციო კოლეგია.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ალექსანდრა, შვილები ელისაბედი, დომინიკა, პეტრე, ეკატერინა და ოლღა; დები: ივლიტა, ფედოსია, ანასტასია და ძმა დავითი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი ძვირფასის
ალექსანდრე დავითის ძის
თოფურიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 7 სექტემბერს, ბინიდან გამოსვენება დღის 3 საათზე, გორის ქუჩა № 25.
(284—1—1)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91
(25—22)

დავკარგე საჯევახოდან ბერძნის წყარომდინ „პორტფელი“, რომელშიც იყო მოწმობები პარტიული, სასურსათო კომისარიატის და სხვა ატესტატები ვაცხადებ გაუქმებულათ.
(286—1—1) გ. ი. ჩანტლაძე.

გაზეთის ტრესტის მთავარი
კანტორისაგან
რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.
ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.
გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე სექტემბრის ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება,
(0—37)

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ
კონტრ-აგენტების
საყურადღებოთ
გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხისგებაში.
(0—16)

სახალხო მეურნეობის უმაღლესი
საბჭოს
სათბობ მასალათა
განყოფილება
წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებებს და წარმოებებს, ვისაც აქვს განყოფილების ან ყოფ. მეფაბრიკე-მექარხნე საზოგადოების ბოჭკები, 7 დღის განმავლობაში დააბრუნონ
ნავთის საწყობში № 1—2-ე . . ავჭალის 11.
„ „ № 2 . . ნავთლუღი, კახეთის და ნავთლუღის ქ. კუთ.
„ „ № 3 . . მაზუთის შეს. № 5.
„ „ № 4 . . ნავთლუღი კახეთის ჩიხი.
„ „ № 5 . . ბათუმის შესახ. № 3.
აღნიშნული ბოჭკები თავისი საშუალებით ან ჩააბარონ ასეთები განყოფილების აგენტს—რწმუნებულს.
იმ დაწესებულებებს და წარმოებებს, რომელთაც აღნიშნულ ვადაზე არ დააბრუნებენ ბოჭკებს, მოესპობათ ნავთის პროდუქტების მიცემა სათბობ მასალათა განყოფილების ტარაში.
281. 3—1

ქალაქის აღმასკომის კომუნალ. განყოფილება
აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 7 სექტემბერს, დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ყოფ. მირზოევის აბანოს შესაკეთებლად.
ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის აღმასკომში ოთახი № 45.
საინ. ტეხ. საამშენებლო განყოფილების
გამგის მოადგილე: დეხანოვი.
258 კრ. 2—2

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზების
სამმართველო
ამით აცხადებს, რომ 7 ენკენისთვეს ამა წლის 12 საათზე სამმართველ
შენობაში დანიშნულია
შეჯიბრება იჯარით გაცემაზე:
ბუფეტისა სად. ირხეზე, სავაჭრო ფარდულისა სადგურ ამამლო საპირფარეშოებისა სადგურ ხაჩმას და სადახლოში და თბილისის ს გურზე ყოფილ საფარეშოსი, მოთავსებულის თბილისისავე საქონლის ეზო საფარეშო გაიცემა იჯარით იმ პირობით, რომ მოიჯარადრემ თავის ხარჯ გადააკეთოს იგი სავაჭრო ფარდულად.
განცხადებები, საღერბო გარდასახადით განაღდებულნი 10.000 მ რაოდენობით, უნდა შეტანილ იქმნან დახურულ კონვერტებში წარწერ „ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს საბჭოში 7 ენკენისთვეს შ ჯიბრებისათვის“. განცხადებებს უნდა დაერთოს კვიტანციები საწინდარ შეტანის შესახებ რაოდენობით 1.000.000 მანეთისა.
დაწვრილებითი ცნობების გაგება შეჯიბრების შესახებ შეიძლება ეკ ნომიურ დარგის კომერციულ ნაწილში ყოველ დღე 10 საათიდან 2 საათამ კვირა-უქმეების გარდა.
(271—3—3)

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.